რეგისტრირებული განაცხადები

რეგისტრაციის ნომერი: 001 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 03 14

განაცხადის დასახელება: „გორდა”

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, გივი ხუციშვილი, პეტრე ნასყიდაშვილი,
ნინო ჯაფარიძე, ნონა სოხაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„გორდა“ საშემოდგომო რბილი ხორბლის ჯიშია. მცენარე არის ბუჩქის ტიპის, მკვეთრად შემცირებული მუხლთშორისების რაოდენობითა და სიგრძით, რომლის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 10-12 სმ-ს. ფოთოლი ფართო, ვერტიკალურად მდგომი. ღერო მოკლე, მტკიცე, ძნელად იღუნება. თავთავი უფხო, მოკლე (4-5 სმ), ბრტყელი, მკვეთრად მკვრივი, რომელშიც გაზრდილი განუვითარებელი თავთუნების რაოდენობა მჭიდროდ განლაგებულია თავთავის ღერაკზე, თავთუნების კილები გამობერილია. ჯიში „გორდა“ 10-12 დღით საგვიანოა სტანდარტულ ჯიშებთან შედარებით. მცენარე ავადდება მურა ჟანგათი და ნაცრით. მარცვალი ბჟირია, რის გამოც 1000 მარცვლის მასა შეადგენს 30 გრამს.მარცვლის ნედლი პროტეინის შემცველობა შეადგენს 27-28%-ს. „გორდა” არის ახალი მემკვიდრეობის მქონე სასელექციო საწყისი მასალა სელექციური მოკლეღეროიანი (2-3 გენით) ჯიშების გამოსაყვანად.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 002 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 03 14

განაცხადის დასახელება: „ლომთაგორა 123”

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრო-სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
კახა ლაშხი, დავით ბედოშვილი, გულნარი ჩხუტიაშვილი,
ზაურ ჯულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ლომთაგორა 123“ საშემოდგომო რბილი ხორბლის ჯიშია. მცენარე არის საშუალო სიმაღლის (80-85 სმ), ჩაწოლისადმი მდგრადი, საშუალოზე მეტად ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე. სტანდარტ ჯიშებთან შედარებით საადრეოა 4-5 დღით. კარგად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისათვის. არ ავადდება ფოთლოვანი დაავადებებით (ჟანგას სახეობები, სეპტორიოზი, ნაცარი). ჯიშის თავთავი თეთრია, ფხიანი, თითისტარისებრი, სიგრძით 11-12 სმ. ერთ თავთავში 55-60 მარცვალია. 1000 მარცვლის მასა 52გ-მდეა. მარცვალში ნედლი პროტეინის შემცველობა შეადგენს 20-22%-ს.
„ლომთაგორა 123“ მაღალმოსავლიანი ჯიშია. სამწლიანი შესწავლის პერიოდში საკონკურსო ჯიშთა გამოცდისას ჯიშის მოსავლიანობამ 1 ჰექტარზე შეადგინა 50-60 ცენტნერი.
ჯიში „ლომთაგორა 123” განკუთვნილია საქართველოში ხორბლის მთესველი ყველა რეგიონისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 003 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 03 14

განაცხადის დასახელება: ,,აისი”

გვარი და სახეობა: *თუთა Morus Alba L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ლიანა ნაცვლიშვილი, ნაზი თვალჭრელიძე, ბესიკ საკანდელიძე,
თინათინ დალალიშვილი, ლიანა ტაბლიაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია თუთის პოლიპლოიდური ფორმა ტრიპლოიდ-20-ის თესლის თესვით და მრავალჯერადი გამორჩევით, გამრავლებულია „ქუთათური X“ „გრუზინიიშ 4“-ის ერთწლიან საძირეზე კვირტის მყნობით; მდედრობითია.

ჯიში ხასიათდება ძლიერი განვითარების ვარჯით, სწორი ფორმის ინტენსიური ზრდის ტოტებით, ტოტი ნაცრისფერი შეფერილობისაა, ზომიერი მუხლთშორისითა და მცირე ზომის კვირტებით, ფოთოლი მთლიანფირფიტიანია, დიდი ზომის, არასწორი ზედაპირით, ტოტზე ჭარბობს მზარდი ყლორტები, ფოთოლმსხმოიარობით უხვია, ნაყოფმსხმოიარობით საშუალო, ნაყოფიდან თესლის გამოსავალი - მცირე (2,1%), ფოთლის მეზოფილში ჭარბობს ღრუბლისებრი პარენქიმა, ცისტოლითი მოგრძო ოვალური ფორმისაა, ყუნწის რბილ ლაფანში ჭარბადაა დამატებითი გამტარი კონები.

ინფექციური დაავადებებისადმი პრაქტიკულად გამძლეა, უხვმოსავლიანი, ფოთოლი მაღალი კვებითი ღირებულებისაა, გამოირჩევა შეჭმადვარგისიანობით, რეკომენდებულია, უპირატესად, როგორც საფოთლე ჯიში დასავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 004 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 03 14

განაცხადის დასახელება: „ფაზისი”

გვარი და სახეობა: *თუთა Morus alba L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ლიანა ნაცვლიშვილი, ნაზი თვალჭრელიძე,
ბესიკ საკანდელიძე, თინათინ დალალიშვილი,
ემზარ ჭოლაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია ჯიშის „ქუთათური” თავისუფალი დამტვერვით მიღებული თესლიდან მრავალჯერადი მკაცრი გამორჩევის გზით.

ზომიერი განვითარების მცენარეა, მამრობითი, გაშლილი ვარჯით, სწორი ტოტებით, სიგრძით 3მ-მდე ყავისფერი ყლორტით, დაბალი სამკუთხა კვირტით, მთლიანფირფიტიანი გულისებრი ფორმის, მუქი მწვანე, კარგი კონსისტენციის ზომიერი სისქის ფოთლებით, ყვავილედები ცილინდრული, არასრული სიმჭიდროვის ყვავილებით, ყვავილედები ტოტზე სხედან ჯგუფებად.

ტოტზე მზარდი და არამზარდი ყლორტების თანაფარდობა 1:1-თან, პრაქტიკულად გამძლეა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული დაავადებებისადმი. ყლორტი ხასიათდება წვრილუჯრედოვანი ანატომიური აგებულებით, ყუნწის მედულაში დამატებითი გამტარი კონების სიჭარბით, ფოთლის მეზოფილში დრუზებისა და ცისტოლითების სიჭარბით, ტენისა და მშრალი ნივთიერებებისა (70%:30%) და ცილა/ნახშირწყლების ოპტიმალური (1:0,9) თანაფარდობით.

ჯიში საფოთლე მიმართულებისაა, ტოლერანტული, გამოირჩევა ფოთლის კონსისტენციითა და ყუათიანობით, რეკომენდებულია ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელების ზონაში გასამრავლებლად.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 005 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 05 16

განაცხადის დასახელება: ჰიბრიდი „ლომთაგორა 1”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრო-სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
ზურაბ ჯინჯიხაძე, კახა ლაშხი,
ზაურ ჯულუხიძე, თემურ ჯაფარიძე,
ნანა ლაშხი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია ინბრედ ხაზის B 73 LG-ს შეჯვარებით შვილეულ ჰიბრიდთან - MO17XMO17-510-თან. მარცვლის ტიპი შუალედური, კბილასთან ახლო, მარცვალი ყვითელი. 1000 მარცვლის მასა - 341 გრ, ტაროზე მარცვლის რიგების რიცხვი - 16. ტაროს ფორმა - სუსტი კონუსური. ნაქუჩის შეფერილობა - ვარდისფერი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) შეადგენს 277 სმ, ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე - 17-19, მიწისზედა მუხლების რაოდენობა - 16-17. ერთ მცენარეზე ვითარდება ერთი ტარო. ღერო და ფესვთა სისტემა გამძლეა ჩაწოლის მიმართ. საგვიანო ვეგეტაციისაა, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 128 დღეს. მარცვლის მოსავლიანობა შეადგენს 7-10 ტ/ჰა-ზე.

რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი რაიონებისთვის, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არის 3000-4500°C, და დასავლეთ საქართველოს რაიონების II, III, X, XIV, XVII აგროკლიმატური ზონებისთვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 006 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 05 16

განაცხადის დასახელება: ჰიბრიდი „ლომთაგორა 2”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:


შპს აგრო-სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
ზურაბ ჯინჯიხაძე, კახა ლაშხი,
ზაურ ჯულუხიძე, თემურ ჯაფარიძე,
ნანა ლაშხი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია ინბრედ ხაზის B73 LG-ს შეჯვარებით ჯიშ-პოპულაცია აბაშურ ყვითელთან. მარცვლის ტიპი - შუალედური, მარცვალი ყვითელი, 1000 მარცვლის - მასა 353 გრ. ტაროზე მარცვლის რიცხვი - 14-16. ტაროს ფორმა სუსტი კონუსური, ნაქუჩის შეფერილობა - ღია ვარდისფერი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) შეადგენს 285სმ-ს. ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე - 19-20, მიწისზედა მუხლების რაოდენობა - 17-18. ბარტყობა არ ახასიათებს. ერთ მცენარეზე ვითარდება ერთი ტარო. ღერო და ფესვთა სისტემა გამძლეა ჩაწოლის მიმართ. საგვიანო ვეგეტაციისაა - აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 133 დღეს. მარცვლის მოსავლიანობა მაღალ აგროფონზე შეადგენს 7-9 ტ/ჰა-ზე.

რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონასა და აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არის 3500-4500°C.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 007 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 05 16

განაცხადის დასახელება: ჰიბრიდი „ლომთაგორა 3”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრო-სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
ზურაბ ჯინჯიხაძე, კახა ლაშხი,
ზაურ ჯულუხიძე, თემურ ჯაფარიძე,
ნანა ლაშხი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია ჰიბრიდ ლომთაგორა 1-ის შეჯვარებით ჯიშ ქართულ კრუგთან. მარცვლის ტიპი - კბილა.მარცვალი ყვითელი.Q1000 მარცვლის მასა - 346 გრ. ტაროზე მარცვლის რიგების რიცხვი - 16. ტაროს ფორმა სუსტი კონუსური, ნაქუჩის შეფერილობა - ვარდისფერი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) შეადგენს 280 სმ-ს. ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე - 18-20. მიწისზედა მუხლების რაოდენობა - 16-17. ბარტყობა არ ახასიათებს. ერთ მცენარეზე ვითარდება ერთი ტარო. ღერო და ფესვთა სისტემა გამძლეა ჩაწოლის მიმართ. არ ავადდება ბუშტოვანი გუდაფშუტათი. საგვიანო ვეგეტაციისაა - აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 130 დღეს. მარცვლის მოსავლიანობა მაღალ აგროფონზე შეადგენს 7-8 ტ/ჰა-ზე.
რეკომენდებულია აღმოსავლეთი საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არის 3300-4500°C.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 008 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 05 16

განაცხადის დასახელება: ჰიბრიდი „ლომთაგორა 4”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრო-სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
ზურაბ ჯინჯიხაძე, დავით ბედოშვილი, კახა ლაშხი,
ზაურ ჯულუხიძე, თემურ ჯაფარიძე,
თინათინ ჯინჯიხაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია ადგილობრივ ჯიშ-პოპულაცია აჯამეთის თეთრის შეჯვარებით „სიმიტის” მიერ მოწოდებულ ინბრედ ხაზთან - CML176-თან. მარცვლის ტიპი - შუალედური, კაჟასთან ახლო. მარცვალი თეთრი.1000 მარცვლის მასა - 338 გრ. ტაროზე მარცვლის რიგების რიცხვი 16. ტაროს ფორმა სუსტი კონუსური. ნაქუჩის შეფერილობა თეთრი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) 368 სმ-ია.ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე შეადგენს 20-22. ბარტყებს არ ივითარებს. ერთ მცენარეზე ვითარდება 1.06 ტარო. ღერო და ფესვთა სისტემა გამძლეა ჩაწოლისადმი. მცენარე არ ავადდება ჰელმითოსპორიუმ ტურსიკუმით. ტარო და მარცვალი არ ავადდება ფუზარიოზით. გამოყენება: მარცვალი შეიძლება გამოყენებულ იქნას სასურსათოდ. სავეგეტაციო პერიოდი - საგვიანოდან ძალიან საგვიანომდე, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 144 დღეს.
რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონისა და აღმოსავლეთ საქართველოს იმ სარწყავი რაიონებისათვის, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არის 3900-4500°C.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 009 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 05 16

განაცხადის დასახელება: ჰიბრიდი „ლომთაგორა 5”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრო-სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
ზურაბ ჯინჯიხაძე, დავით ბედოშვილი,
ნინო ლომინაძე, მანანა ბერიშვილი,
კახა ლაშხი, ზაურ ჯულუხიძე,
თემურ ჯაფარიძე


მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია ინბრედ ხაზის გპ-3-ის შეჯვარებით „სიმიტის” მიერ მოწოდებულ ინბრედ ხაზთან - CML 176-თან. მარცვლის ტიპი - კაჟა.მარცვალი თეთრი. 1000 მარცვლის მასა - 327 გრ. ტაროზე მარცვლის რიგების რიცხვი - 16. ტაროს ფორმა საშუალოდ კონუსური. ნაქუჩის შეფერილობა თეთრი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) 303 სმ-ია. ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე შეადგენს 21-22. ბარტყებს არ ივითარებს. ერთ მცენარეზე ვითარდება 1.03 ტარო. ღერო და ფესვთა სისტემა გამძლეა ჩაწოლისადმი. მცენარე არ ავადდება ჰელმითოსპორიუმ ტურსიკუმით. ტარო და მარცვალი არ ავადდება ფუზარიუმით.

გამოყენება: მარცვალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასურსათოდ. სავეგეტაციო პერიოდი - საგვიანოდან ძალიან საგვიანომდე, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 137 დღეს.

რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონასა და აღმოსავლეთი საქართველოს იმ სარწყავი რაიონებისათვის, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არის 3900-4500°C.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 01 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 08 03

განაცხადის დასახელება: კალმახი „მარადიდი”

გვარი და სახეობა: *კალმახი სალმო ფარიო Salmo Fario*

სელექციონერ(ებ)ი:

ახმედ დიასამიძე, იბრაიმ დიდმანიძე,
ზურაბ მეგრელიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

კალმახის ჯიში „მარადიდი” გამოყვანილია კალმახის ჯიშის „პალია” (მამრი) და საქართველოს მდინარის კ ალმახის (მდედრი) შეჯვარების და თაობებში გამორჩევის გზით. გამოზრდა წარმოებს აუზის პირობებში, წყლის ტემპერატურაა 25°C-მდე. კვება წარმოებს ჩვეულებრივი თევზების საკვებით. სამომხმარებლო დონემდე იზრდება საშუალოდ 7-8 თვეში.

აუზის პირობებში მრავლდება ხელოვნურად. მდინარეში - თვითგამრავლებით. გამოირჩევა ღია ყავისფერი შეფერილობით, გვერდებზე გააჩნია მოყვითალო და მოწითალო მკაფიოდ გამოხატული წინწკლები, გენური მახასიათებლებით იდენტურია ადგილობრივი მდინარის კალმახისა, ახასიათებს ადგილობრივი პირობების მიმართ შემგუებლობა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 010 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 05 16

განაცხადის დასახელება: „ალმასი”

გვარი და სახეობა: *საშემოდგომო რბილი ხორბალი Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, გივი ხუციშვილი,
პეტრე ნასყიდაშვილი, მირიან ჩოხელი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში მიღებულია ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით, რბილი ხორბალის მუტანტური ფორმების შეჯვარების გზით.
მცენარე სწორმდგომია, არ წვება, არ ავადდება. საეგეტაციო პერიოდი 1 იანვრიდან დათავთავებამდე შეადგენს 142 დღეს. თავთავი ფხიანი – ღია ჩალისფერი, არ ხასიათდება მტვრევადობით, მარცვლის ცვენადობით, კარგად ილეწება და ვარგისია მექანიზებული აღებისათვის.
მარცვალი მსხვილი, ოვალური, მოწითალო ფერის. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 48,0 გრამს, მარცვალში სველი წებოგვარას შემცველობა 34,5%-ია, ხოლო პროტეინის 13,4%.
ჯიშ „ალმასი”-ს საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 5-6 ტონას.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 011 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 07 15

განაცხადის დასახელება: თავიანი ხახვი „ვარდისფერი 32”

გვარი და სახეობა: *თავიანი ხახვი Allium cepa*

სელექციონერ(ებ)ი:

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ელენე მოთიაშვილი,ზურაბ საპატოვი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

მიღებულია ადგილობრივი ჯიშის კერძოდ „კახური ბრტყელი” ინდივიდუალური და მასიური გამორჩევის მეთოდით. სახესხვაობა - ნახევრად ცხარეა. ბოლქვი ღია ვარდისფერი, ნაზი რბილობით, ქერქლები - ვარდისფერი. ყვავილი თეთრი, ფორმა ბრტყელი, მასა 115-120 გრამი, უბარტყო. ბოლქვის მომწიფების დროს ნიადაგში ბოლქვი ნახევრად ზის, მცენარის სიმაღლეა - 40-50სმ, ფოთლების რაოდენობა - 10-12 მუქი მწვანე. გამძლეა მავნებელ დაავადებათა მიმართ. სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ ბიოლოგიურ სიმწიფემდე საჭიროებს 135-140 დღეს. მოსავლიანობა სარწყავში შეადგენს 27-29ტ-ს ჰა-ზე, თესლის მოსავალი 3,5-3,8 ც/ჰა-ზე, 1000 მარცვლის წონა - 3,8- 4 გ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 012 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 07 15

განაცხადის დასახელება: პომიდორი „ვარდისფერი ჭოპორტულა"

გვარი და სახეობა: *პომიდორი Licopersicum esculentum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ალექსანდრე სარალიძე, ნატო კაკაბაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „ვარდისფერი ჭოპორტულა" სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით არის საშუალო საგვიანო, სიცივის ამტანი და მოსავალს იძლევა ოქტომბრის ბოლომდე. მცენარე არის ინდეტერმინანტი. ღეროს ძლიერ დატოტვილი, საშუალოდ შეფოთლილი. მუხლთაშორისების სიგრძე 5-8 სმ, შებუსული. ფოთოლი - საშუალოდ დაკბილული, მწვანე შეფერილობის. ყვავილედი - რთული, 3-5 ყვავილით. ნაყოფი - მრგვალი, გლუვი ზედაპირით, ვარდისფერი შეფერილობით, პრიალა კანით, 4-5 ბუდით. მწიფე ნაყოფის საშუალო წონა 140 გრ. 1000 ცალი თესლის წონა - 3,58 გრ. საყრდენზე მცენარის სიმაღლე 135 სმ, უსაყრდენოდ - 124 სმ. სასაქონლო მოსავლიანობა საყრდენის შემთხვევაში 50 ტ/ჰა. უსაყრდენოდ - 36 ტ/ჰა. აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე მცენარეს სჭირდება 120 დღე. ბიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით მწიფე ნაყოფში არის: მშრალი ნივთიერება - 5,48%, საერთო შაქარი - 3,68%, ასკორბინის მჟავა - 26,2%, საერთო მჟავიანობა - 0,40%.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 013 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 07 15

განაცხადის დასახელება: საბოსტნე სოია „მწვანეპარკიანი”

გვარი და სახეობა: *საბოსტნე სოია Glycine max L Merrill*

სელექციონერ(ებ)ი:

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ნატო კაკაბაძე, ტარიელ კოხრეიძე,
ელენე მოთიაშვილი, ზურაბ საპატოვი (GE)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „მწვანეპარკიანი” სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით არის საშუალო საგვიანო და მასიური ყვავილობიდან ტექნიკურ სიმწიფემდე საჭიროებს 80- 85 დღეს, ტექნიკურ სიმწიფეში მწვანე პარკების მოსავლის აღება შესაძლებელია აღმოცენებიდან 95-ე დღეს. თესლები ბიოლოგიურ სიმწიფეს აღწევს 120-130 დღეში. პარკები ფორმირდება მცენარის მთელ სიმაღლეზე. ერთ მცენარეზე არის დაახლოებით 120 ცალამდე პარკი. ტექნიკურ სიმწიფეში პარკების მოსავლიანობა შეადგენს 170 ცენტნერს ჰექტარზე. ბიოლოგიურ სიმწიფეში თესლის მოსავლიანობა შეადგენს 70 ცენტნერს ჰექტარზე. თესლი შეიცავს: 42,7% ცილას, 20,8% ცხიმს. 1000 ცალი მწვანე თესლის წონაა 760 გრ. ბიოლოგიურად მომწიფებული თესლი არის მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის. ბიოლოგიურად მომწიფებული 1000 ცალი თესლის წონაა 300 გრ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 014 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 07 15

განაცხადის დასახელება: პომიდორი „საადრეო”

გვარი და სახეობა: *პომიდორი Licopersicum esculentum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ნატო კაკაბაძე, ლერი ნოზაძე, ედნარ მიქანაძე,
ადოლი ტყეშელაშვილი, ოთარ ჯანხოთელი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „საადრეო“ სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით არის საადრეო და მოსავალს იძლევა აგვისტოს ბოლომდე. მცენარე არის დეტერმინანტი. ღერო ძლი-ერ დატოტვილი, საშუალოდ შეფოთლილი. ორმაგ ფრთისებრი მუხლთაშორისების სიგრძე 5-6სმ, შებუსული. ფოთოლი - საშუალოდ დაკბილული, მწვანე შეფერილობის. ყვავილედი რთული, 3-5 ყვავილით. ნაყოფი - გრძელი, ნაყოფის ბოლო წაწვეტებული, წითელი შეფერილობით, პრიალა კანით, 3 ბუდით. მწიფე ნაყოფის საშუალო წონა 50 გრ. 1000 ცალი თესლის წონა - 1,98 გრ. ნაყოფის სიგრძე 5სმ, ნაყოფის დიამეტრი 4 სმ. სასაქონლო მოსავლიანობა 60ტ/ჰა. აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე მცენარეს სჭირდება 70 დღე. ბიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით მწიფე ნაყოფში არის: მშრალი ნივთიერება - 3,43%, საერთო შაქარი - 3,18%, ასკორბინის მჟავა - 16,7%, საერთო მჟავიანობა - 0,45%.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 015 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 07 15

განაცხადის დასახელება: საბოსტნე სოია „საბოსტნე 1”

გვარი და სახეობა: *საბოსტნე სოია Glycine max L Merrill*

სელექციონერ(ებ)ი:

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ნატო კაკაბაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „საბოსტნე 1” სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით არის საადრეო და მასიური ყვავილობიდან ტექნიკურ სიმწიფემდე საჭიროებს 20-25 დღეს, ხოლო თესლის ბიოლოგიურ სიმწიფემდე - 55-60 დღეს. მცენარის ბუჩქის სიმაღლე - 40-50სმ, საშუალოდ შებუსული, მოკლე მუხლთაშორისებით საშუალოდ შეფოთლილი, ფოთოლი ოვალური ფორმის, მთლიანი, მახვილი ბოლოთი. ყვავილი თეთრი, ყვავილობის ხანგრძლივობა 20-30 დღე.პარკის ფერი ტექნიკურ სიმწიფეში - მწვანე. პარკის სიგრძე - 5,0სმ, სიგანე - 1,2სმ. ერთ მცენარეზე ფორმირდება 30-დან 50-მდე პარკი, ძირითადად პარკში 2 თესლია, იშვიათად 1 ან 3. თესლი მწვანეა, ოვალური ფორმის, ბრტყელი,სიგრძე - 1,3სმ, დიამეტრი - 0,8სმ, 1000 ცალი მწვანე თესლის წონაა 680 გრ. მწვანე თესლი შეიცავს: 42% ცილას, 22% ცხიმს. პირველი კრეფა მწვანე პარკების ტექნიკურ სიმწიფეში შესაძლებელია აღმოცენებიდან მე-60 დღეს.ბიოლოგიურ სიმწიფეს თესლები აღწევენ აღმოცენებიდან 85-90-ე დღეს. ტექნიკურ სიმწიფეში პარკების მოსავლიანობა ჰექტარზე 95 ცენტნერია, ბიოლოგიურ სიმწიფეში თესლების მოსავლიანობა ჰექტარზე არის 37 ცენტნერი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 016 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 12 29

განაცხადის დასახელება: სიმინდი „წეროვანი 4”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, ზურაბ ჯინჯიხაძე, დავით ბედოშვილი, ნინო ლომინაძე, მანანა ბერიშვილი, ლიანა ქირიკაშვილი, ავთანდილ მუმლაძე, ნუგზარ დემეტრაშვილი, ზაურ კალანდია, თამარ ოდიშარია, ჯოვანი ნიკოლაძე, თამარ კოდუა

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია CIMMYT-ის მიერ მოწოდებული სინთეზური პოპულაციის S91SIWQ-ის შეჯვარებით ჯიშთან „აჯამეთის თეთრი”. მარცვლის ტიპი - შუალედური, მარცვალი - თეთრი. 1000 მარცვლის მასა - 342 გრ. ტაროზე მარცვლის რიგების რიცხვი - 14-16, ტაროს ფორმა - მცირედ კონუსური. ნაქუჩის შეფერილობა - თეთრი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) - 322 სმ, ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე - 20-21, მიწისზედა მუხლების რაოდენობა - 18- 19; ბარტყობა არ ახასიათებს, მცენარეზე ვითარდება ერთი ტარო. ღერო და ფესვთა სისტემა გამძლეა ჩაწოლის მიმართ. გამძლეა დაავადება „ჰელმინთოსპორიუმ ტურსიკუმის” მიმართ. მცირედ ავადდება „ბუშტოვანი გუდაფშუტათი” საგვიანო ვეგეტაციისაა, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 140 დღეს. მარცვლის მოსავლიანობა შეადგენს 6-7 ტ/ჰა. გამოყენება: მარცვალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასურსათოდ. რეკომენდებულია გასავრცელებლად დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონასა და აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი უდრის 3900-4500°C.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 017 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 12 29

განაცხადის დასახელება: სიმინდი „წეროვანი 5”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ზურაბ ჯინჯიხაძე, ნინო ლომინაძე, ლიანა ქირიკაშვილი,
ავთანდილ მუმლაძე, მანანა ბერიშვილი, ადოლ ტყეშელაშვილი,
ლერი ჩაჩავა, ოთარ ჯანხოთელი, თამარა კოდუა,
ზაურ კალანდია, თამარ ოდიშარია

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „წეროვანი 5” გამოყვანილია მარტივი ჰიბრიდის – „გპ-3 X CML176” შეჯვარებით ჯიშთან „აჯამეთის თეთრი”.
მარცვლის ტიპი – შუალედური, მარცვალი – თეთრი. 1000 მარცვლის მასა – 338 გრ. ტაროზე მარცვლის რიგების რიცხვი – 16-18, ტაროს ფორმა საშუალოდ კონუსური. ნაქუჩის შეფერილობა – თეთრი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩის ჩათვლით) – 305 სმ, ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე – 20-21, მიწისზედა მუხლების რაოდენობა 18-19; ბარტყობა არ ახასიათებს, მცენარეზე ვითარდება 1 ტარო.
ღერო გამძლეა ჩაწოლის მიმართ.
გამძლეა ჰელმინთოსპორიუმ ტურსიკუმის მიმართ. მცირედ ავადდება ბუშტოვანი გუდაფშუტათი.
საგვიანო ვეგეტაციისაა, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 140 დღეს.
მარცვლის მოსავლიანობა შეადგენს 6-8 ტ/ჰა.
გამოყენება: მარცვალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასურსათოდ. რეკომენდებულია გასავრცელებლად დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში და აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში, სადაც ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი უდრის 3800-45000°C (ფოტო იხ. გვ. 7).

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 018 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 12 29

განაცხადის დასახელება: ხორბალი „საული-9”

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი Ttriticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, პეტრე ნასყიდაშვილი,
დავით ბედოშვილი, ირაკლი რეხვიაშვილი,
ნონა სოხაშვილი, მირიან ჩოხელი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„საული-9” რბილი ხორბლის ჯიშია. ხასიათდება ყინვაგამძლეობის და გვალვაგამძლეობის მაღალი უნარით. ბუჩქი ნახევრადგართხმულია, მცენარე სწორმდგომი – 95-100 სმ სიმაღლის. მცენარეზე 4-5 თავთავი თანაბარ სიმაღლეზეა განვითარებული. სტანდარტთან შედარებით 4-6 დღით საადრეო ჯიშია. კარგად ილეწება და ვარგისია მექანიზებული აღებისათვის. მცენარე ზომიერად გამძლეა სოკოვანი დაავადებების (ჟანგას სახეობები, ნაცარი, სეპტორიოზი) მიმართ.
თავთავი – თეთრი, ფხიანი, თითისტარისებრი, სიგრძე 12-13 სმ. ერთ თავთავში 55-60 მარცვალია. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 40-44 გრამს. მარცვალში სველი წებოგვარას შემცველობა 26,0%-ია, ხოლო ცილის 11%. ჯიში მაღალ და სტაბილურ მოსავლიანია. მისი საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 5,0-5,6 ტ/ჰა-ზე.
ჯიში „საული-9” განკუთვნილია საქართველოში ხორბლის მთესველი ყველა რეგიონისათვის. (ფოტო იხ. გვ. 11).

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 019 **რეგისტრაციის თარიღი:** 2011 12 29

განაცხადის დასახელება: ვაშლი „CIVG 198”

გვარი და სახეობა: *ვაშლი Malus Mill*

სელექციონერ(ებ)ი:

კ.ი.ვ. - კონსორციო იტალიანო ვივაისტი – სოსიეტა კონსორტილე ა რ.ლ.,
ალესანდრო კასტანიოლი, პიეტრო კასტანიოლი, დონატა აზოლინი,
ლეის მიქელანჯელო, ალესიო მარტინელი, ფრანჩესკო ტაგლიანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ვაშლის ჯიში, რომელიც ბოტანიკურად ცნობილია როგორც Malus domestica Mill შემდგომში წოდებული, როგორც ჯიში „CIVG 198”. გამოყვანილ იქნა ჯვარედინი დამტვერვით, კონტროლირებადი შეჯვარების მეშვეობით, იტალიაში, ქალაქ ფერარაში ს. ჯუზეპე კომაკიოში. მშობელი დედა არის Malus domestica Mill „გალა”, ხოლო მშობელი მამა Malus domestica Mill „ლიბერტი”. ახალი ჯიშის ფენოტიპი შეიძლება შეიცვალოს ისეთ გარემო ფაქტორებზე, როგორიცაა ტემპერატურა, სინათლის ინტენსივობა, დღის ხანგრძლივობა, მაგრამ არ გამოიწვიოს ჯიშის გენოტიპის ცვლილება.

ახალი და განსხვავებული ვაშლის ჯიში Malus domestica Mill, რომელსაც დაარქვეს „CIVG 198” ხასიათდება წითელი შეფერილობის კანით, მაღალი შაქრის შემცველობით, რბილობის სიმყარით, მავნებლებისადმი რეზისტენტობით, შენახვისა და სამომხმარებლო ხარისხის ხანგრძლივობით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 020 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 04 05

განაცხადის დასახელება: მუხუდო „არაგვი"

გვარი და სახეობა: *მუხუდო Cicer Arietinum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
პაშა ვაჩეიშვილი, ავთანდილ მუმლაძე, ავთანდილ კორახაშვილი,
ლია ქირიკაშვილი, ანა გულბანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„არაგვი" საშუალოდ საგვიანო ჯიშია, მცენარე ბუჩქის ტიპისაა, აქვს ძლიერ დატოტვილი ღერო, მცენარე სწორმდგომია, მისი სიმაღლეა 40-70სმ ამინდის პირობების მიხედვით. მცენარის ფოთლები ღია მწვანე ფერისაა, ყვავილი თეთრია, ქვედა პარკების მიმაგრების სიმაღლე 40 სმ-ია, პარკში თესლის რაოდენობა 1 ცალია, იშვიათად ორი ან სამი. მარცვალი ჩალისფერი საშუალო სიმსხოსი, მარცვლის ფორმა გლუვი, მისი დიამეტრი 8 მმ-ია. 1000 მარცვლის მასა 310 გრამია. მარცვლის საშუალო მოსავლიანობა მერყეობს 1,6-დან 2,9 ტონამდე ჰექტარზე. ჯიში არ ავადდება ასკოხიტოზით, იგი უმნიშვნელოდ ავადდება ფუზარიოზით. აღმოსავლეთ საქართველოსთვის მისი თესვის ოპტიმალური ვადა ნოემბრის ნახევრიდან მარტის ნახევრამდე გრძელდება. მარცვალში ნედლი პროტეინის შემცველობა არის 23,16%, ცხიმის - 5,54%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება (უ.ე.ნ.) - 53,15%, ხასიათდება კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 021 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 04 05

განაცხადის დასახელება: ოსპი „წილკანი”

გვარი და სახეობა: *ოსპი Lens Esculenta Moench*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
პაშა ვაჩეიშვილი, ავთანდილ მუმლაძე, ავთანდილ კორახაშვილი,
ლია ქირიკაშვილი, ანა გულბანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„წილკანი” საშუალოდ საადრეო ჯიშია, მცენარე ბუჩქის ტიპისაა, მისი სიმაღლე 30 სმ-ია, არ წვება (ოპტიმალური კლიმატური პირობების შემთხვევაში), მცენარე ძლიერ დატოტვილია, მცენარის ფოთლები ღია მწვანე ფერისა, ყვავილი თეთრია, პარკების რაოდენობა 60-70 ცალი, პარკში თესლის რაოდენობა 1 ცალია, იშვიათად ორი. ქვედა პარკების მიმაგრების სიმაღლე 15 სმ-ია, მარცვალი მოწითალო ფერისაა, საშუალო სიმსხოსი, მარცვლის ფორმა ბრტყელია, ოდნავ ამობურცული ზედაპირით. 1000 მარცვლის წონა 42,1 გრამია. ჯიში უმნიშვნელოდ ავადდება ფუზარიოზით. მცენარე ორთესელა ბუნებისაა, აღმოსავლეთ საქართველოსთვის მისი თესვის ოპტიმალური ვადა ნოემბრის ნახევრიდან მარტის ნახევრამდე გრძელდება. მარცვლის საშუალო მოსავლიანობა არის 2-3 ტონა ჰექტარზე. მარცვალში ნედლი პროტეინის შემცველობა არის 26,28%, ცხიმის - 1,46%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება (უ.ე.ნ.) - 48,96%. ადვილად ხარშვადია, ხასიათდება კარგი გემური თვისებებით. ნამჯის საჰექტარო მოსავლიანობა არის 2,7 ტონა, რომლის ენერგეტიკული საკვები ერთეულია 63,62%, მონელებადი პროტეინი კი - 6,47%.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 022 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 04 05

განაცხადის დასახელება: ხორბალი „ლომთაგორა 109”

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს ფირმა „ლომთაგორა",
კახა ლაშხი, დავით ბედოშვილი, გულნარა ჩხუტიაშვილი , ირაკლი რეხვიაშვილი, ზოია სიხარულიძე, გალინა მეფარიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ლომთაგორა 109“ საშემოდგომო რბილი ხორბლის ჯიშია. მცენარე მაღალია (100-105სმ), ჩაწოლისადმი მდგრადი, საშუალოზე მეტად ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე. სტანდარტ ჯიშებთან შედარებით საადრეოა 2-6 დღით. კარგად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისათვის. არ ავადდება ფოთლოვანი დაავადებებით (ჟანგას სახეობები, სეპტორიოზი, ნაცარი). ჯიშის თავთავი თეთრია, ფხიანი, თითისტარისებ-რი, სიგრძით - 13-15სმ. ერთ თავთავში 65-70 მარცვალია. „ლომთაგორა 109“ მაღალმოსავლიანი ჯიშია. სამწლიანი შესწავლის პერიოდში, საკონკურსო ჯიშთა გამოცდისას, ჯიშის მოსავლიანობამ 1 ჰექტარზე შეადგინა 50-65 ცენტნერი.
ჯიში „ლომთაგორა 109” განკუთვნილია საქართველოში ხორბლის მთესველი ყველა რეგიონისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 023 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 06 06

განაცხადის დასახელება: მუხუდო „სარკინეთი"

გვარი და სახეობა: *მუხუდო Cicer Arietinum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
თამარ ახალაძე, გეჯურა ჭინჭარაული, ავთანდილ მუმლაძე,
ანა გულბანი, ანა დევიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

მუხუდო მცენარეული ცილის მწარმოებელი სამარცვლე-პარკოსანი კულტურაა. ჯიში „სარკინეთი" საგაზაფხულო მუხუდოს ჯიშია. ითესება ადრე გაზაფხულზე. შეუძლია მცირე წაყინვების გადატანა. მცენარე ნახევრად სწორმდგომია 60-65 სმ სიმაღლის, ახასიათებს საკმაოდ ძლიერი დატოტვა, ანტოციანური შეფერილობისაა. მცენარე მთლიანად შებუსულია მოყავისფრო ბუსუსებით. ფოთოლი წყვილფრთართულია და ბოლოვდება ერთი ფოთოლაკით. ფოთოლაკების რაოდენობა 6-8 წყვილია. ყვავილი მოთეთრო ფერისაა და ვითარდება ფოთლი იღლიიდან გამოსულ პატარა ღერაკებზე. მცენარე თვითმტვერიაა. ნაყოფი რომბისებურ-ოვალური პარკია. პარკის სიგრძე 2-2,5 სმ-ია. მასში მოთავსებულია 1-2 მარცვალი. სიმწიფისას პარკი არ სკდება და არ ახასიათებს ჩაცვენა.

ნაყოფი მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობისაა. ფორმა – მრგვალი კუთხისებური. 1000 მარცვლის მასა 390 გრამია. მარცვალში ცილის შემცველობა კი – 27%. გემური თვისება შეფასდა 4 ბალით.

ჭარბი ნალექების პირობებში მცენარე მცირედ ავადდება ასკოხიტოზით და ფუზარიოზით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 024 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 06 06

განაცხადის დასახელება: თეთრთავიანი ხახვი „ლიზი"

გვარი და სახეობა: *თეთრთავიანი ხახვი Allium cepa L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
პეტრე ნასყიდაშვილი, ლერი ნოზაძე, ავთანდილ მუმლაძე,
კობა კობალაძე, ციური ბიჭიაშვილი, ედნარ მიქანაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „ლიზი" გამოყვანილია ჯიშიდან „სტარდასტი" მასობრივი გამორჩევის მეთოდით. იგი ნახევრად ცხარეა, ბოლქვი თეთრი ფერის ქერქლითა და რბილობით, ფორმა მრგვალი, მასა – 120-160 გრამი, უბარტყო, ნიადაგის ზედაპირზე მჯდომარე. მცენარის სიმაღლე – 30-40 სმ, ფოთლების რაოდენობა – 6-8, მუქი მწვანე შეფერილობით, მარაოსებურად გაწყობილი. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლე. სავეგეტაციო პერიოდია საშუალო-საგვიანო, აღმოცენებიდან სრულ ბიოლოგიურ სიმწიფემდე საჭიროებს 100-105 დღეს. ბოლქვის მოსავლიანობა სარწყავ ზონებში მაღალი აგროფონის პირობებში 30-40 ტონაა, თესლის მოსავალია 2,6-2,9 ც/ჰა-ზე.
1000 მარცვლის მასა – 3,4-3,7 გრამი.
თეთრთავიანი ხახვის მნიშვნელოვან თვისებად ითვლება მისი სამკურნალო თვისებები. ხახვის ბოლქვი შეიცავს ვიტამინებს და აზოტის შემცველ ნივთიერებებს (2,5 %-მდე), სხვადასხვა შაქრებს, განსაკუთრებულ აქროლად ნივთიერებას – ფიტონ-ციდს, ლიმონისა და ვაშლის მჟავებს, ვიტამინებს B2 (50 მგ%), PP (0,20 მგ%), C (10,5-23,0 მგ%) და ეთერზეთებს. ხახვის ასეთი მდიდარი შემადგენლობის გამო ის შეუცვლელი პროდუქტია ზამთარსა და გაზაფხულზე, განსაკუთრებით გრიპის ეპიდემიის და ვიტამინების ნაკლებობის დროს. „ლიზის" არ ახასიათებს თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, რაც მის განსაკუთრებული თვისებად ითვლება.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 025 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 06 06

განაცხადის დასახელება: თეთრთავიანი კომბოსტო „ლიკანი”

გვარი და სახეობა: *კომბოსტო Brassika oleracea*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
პეტრე ნასყიდაშვილი, ლერი ნოზაძე, ეთერ ფიფია

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიშიდან „ბორჯომის იდეალი“ გამაუმჯობესებელი მასობრივი გამორჩევით მიღებულ იქნა თეთრთავიანი კომბოსტოს ჯიში სახელწოდებით „ლიკანი“. ჯიში საშუალო-საგვიანოა, სავეგეტაციო პერიოდი 155-165 დღის ფარგლებში, თავი მრგვალი, ღია მწვანე ფერის, რომელიც ზედა ნაწილში ამობურცულია. თავის მასა მერყეობს 2,9-3,5 კგ-ის ფარგლებში, საერთო მოსავალი 45-50 ტ/ჰ-ზე. მოხმარების თვალსაზრისით ჯიში უნივერსალურია დაინახება ხანგრძლივად. „ლიკანის“ ქიმიური შემადგენლობაა: მშრალი ნივთიერება – 7,35-9,35%, საერთო შაქრები – 4,33-4,93%, ვიტამინი C – 61,6- 83,6 მგ/კგ. კომბოსტოს თესლის მოსავალი 3,5-4,5 ცენტნერია ჰექტარზე. თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლებია: 1000 მარცვლის მასა – 2-4 გრამი, ფორმა მომრგვალო, ფერი მოწითალო-ყავისფერი, ჰექტარზე ითესება 0,4-0,5 კგ.

კომბოსტოს ფოთოლი ხრაშუნაა, სასიამოვნო გემური თვისებებით, რაც განპირობებულია მშრალი ნივთიერების ნორმის ფარგლებში და ნაწილობრივ საერთო შაქრების შემცველობით. კომბოსტოს თავი გამოირჩევა თხელი ნაზი ფოთლებით და არ ახასიათებს უხეში ძარღვიანობა. ჯიში მაღალმოზარდია, გარეთა მურკის სიმაღლე 20-25 სმ-ზე მეტია და ვარგისია კომ-ბაინით ასაღებად. „ლიკანის“ წარმოების არეალია ზღვის დონიდან 600- 650-დან 1100-1750 მ-მდე.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 026 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 08 03

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „ევერესტი"

გვარი და სახეობა: *კარტოფილი Solanum tuberosum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

კვს პოტატო ბ.ვ. (NL)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული კარტოფილის ჯიში „ევერესტი", რომელიც ბოტანიკურად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L. არის სუფრის ადრეული ჯიში ექსპორტისა და ადგილობრივი მოხმარებისათვის, აქვს ყვითელი კანი. უხვმოსავლინი კარტოფილის ჯიშია, საშუალოდ 7-9 ბოლქვით თითო ნერგზე.

ბოლქვი ოვალური, ძირითადად ერთგვაროვანი ფორმის, თხელკანიანი. საკმაოდ კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია ვირუსული დაავადებების მიმართ.

ჯიშის „ევერესტი" სამომხმარებლო ხარისხი საკმაოდ მაღალია, ვარგისია ნედლად მოხმარებისათვის. შიგთავსის მშრალი ნივთიერება თითქმის 18-19%-ია. AB კულინარული ტიპის, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 027 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 08 03

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „ლაბადია”

გვარი და სახეობა: *კარტოფილი Solanum tuberosum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

კვს პოტატო ბ.ვ. (NL)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული კარტოფილის ჯიში „ლაბადია‘‘, რომელიც ბოტანიკურად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L. არის სუფრის კარტოფილი ხმელთაშუა ზღვის, სამხრეთა ამერიკისა და შუა აღმოსალეთის რეგიონში სავაჭროდ. კარტოფილი არის საშუალოდ საადრეო, ფორმა მრგვალი, ღია ყვითელი კანით. ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დიდი ბოლქვების მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით.
კარტოფილის ჯიში „ლაბადია‘‘ მაღალმოზარდია, აქვს ძლიერი ღერო და კარგი დაფარვა, თეთრი ყვავილები და კენკროვანი ნაყოფის მცირე რაოდენობა. იგი საშუალოდ ტოლერანტულია მექანიკური დაზიანებისა და ლურჯი ლაქებისადმი. ახასიათებს კარგი გამძლეობა სიცხისა და გვალვის მიმართ, კარგი ტოლერანტობა შიდა დეფექტებზე, კარგად ინახება.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 028 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 08 03

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „ელ მუნდო"

გვარი და სახეობა: *კარტოფილი Solanum tuberosum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

კვს პოტატო ბ.ვ. (NL)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული კარტოფილის ჯიში „ელ მუნდო'', რომელიც ბოტანიკურ-ად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L. არის სუფრის ჯიში ექსპორტისა და ადგილობრივი მოხმარებისათვის, აქს ყვითელი კანი. უხვმოსავლინი კარტოფილის ჯიშია, საშუალოდ 8-10 ბოლქვით თითო ნერგზე.

ბოლქვი ოვალური, ძირითადად ერთგვაროვანი ფორმის, თხელკანიანი. საკმაოდ კარგი წინააღმდეგების უნარი გააჩნია ფოთლისა და შიგთავსის პარაზიტების მიმართ.

„ელ მუნდოს'' სამომხმარებლო ხარისხი საკმაოდ მაღალია, ვარგისია ნედლად მოხმარებისათვის. შიგთავსის მშრალი ნივთიერება თითქმის 18-%-ია. AB კულინარული ტიპის, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია.

„ელ მუნდო'' ხასიათდება გვიანი სიმწიფით, მაღალი სამომხმარებლო ხარისხით, აზოტის ნაკლები შემცველობით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 029 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 08 03

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „მონდეო – M 99-5107”

გვარი და სახეობა: *კარტოფილი Solanum tuberosum L.*

სელექციონერ(ებ)ი:


კვს პოტატო ბ.ვ. (NL)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული კარტოფილის ჯიში „მონდეო‘‘, რომელიც ბოტანიკურად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L. არის სუფრის კარტოფილი. კარტოფილი არის საგვიანო, ბოლქვის ფორმა ოვალური, ღია ყვითელი კანით. ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დიდი ბოლქვების მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით, 8-10 ბოლქვი თითო მცენარეზე.

კარტოფილის ჯიში „მონდეო‘‘ მაღალმოზარდია, აქვს ძლიერი ღერო და კარგი დაფარვა, თეთრი ყვავილებით და კენკრის გარეშე. იგი საშუალოდ ტოლერანტულია მექანიკური დაზიანებისა და ლურჯი ლაქებისადმი. ახასიათებს კარგი გამძლეობა სიცხისა და გვალვის მიმართ, კარგი ტოლერანტობა შიდა დეფექტებზე, კარგად ინახება.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 030 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 10 31

განაცხადის დასახელება: სტევია რებაუდიანა „დედა”

გვარი და სახეობა: *სტევია რებაუდიანა ბერტონი Stevia rebaudiana Bertoni*

სელექციონერ(ებ)ი:

თამარ სარჯველაძე, ვალერიან ცანავა, ცისანა ქაშაკაშვილი, ნანული ორაგველიძე, იზოლდა მამულაიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

სტევია რებაუდიანა „დედა’’ გამოიყენება როგორც ბუნებრივი დაბალკალორიული შაქრის შემცველი მცენარე. მცენარის მიწისზედა ნაწილი, ძირითადად ფოთლები შეიცავს დიტერპენულ გლიკოზიდებს 6-15%-ის რაოდენობით, რომელიც 30-300-ჯერ ტკბილია შაქართან (სახაროზა) შედარებით.

სტევიას ჯიშის პოპულაცია „დედა’’ გამოყვანილია ხელოვნური გამორჩევის გზით საქართველოში ინტროდუცირებული მცენარეებისაგან. ის განსხვავდება შემოტანილი - არსებული ჯიშისაგან ფართოფოთლიანობით, ყინვაგამძლეობით და გაღივების უნარის მქონე მაღალხარისხოვანი თესლებით. ერთგვაროვანია ამ თვისებებით და სტაბილური. აქვს მაღალი სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობა.

ჯიში პოპულაცია „დედას’’ სიმაღლე 100-130 სმ-მდეა, ყოველი წლის ბოლოს კვდომადი და გაზაფხულზე კვლავ მზარდი ყლორტებით. ღერო ზრდის პერიოდში სწორმდგომია. ძლიერი დატოტიანებისა და სიმაღლეში ზრდის გამო კი დახრილია. ღეროზე ფოთლები მუხლთან მოპირდაპირე მხარესაა განლაგებული, ფოთოლი უკუკვერცხისებური, წაგრძელებული ფორმისაა, სამი ძარღვით ორივე მხარეზე. ფოთლის ფირფიტა დაფარულია ბუსუსებით, ყუნწი მოკლეა, თითქმის მჯდომარე. ფოთოლი ზედა ნაწილში კიდე დაკბილულია, ქვედაში - კიდე მთლიანი, მუქი მწვანე ფოთოლი დიდი ზომისაა. სიგრძე - 8,4 სმ, სიგანე - 2,8 სმ. ჯიში პოპულაცია „დედა’’ მრავლდება, როგორც მისი საწყისი ფორმები ვეგეტატიურად (კალმით) და შეძენილი აქვს გენერაციულად (თესლით) გამრავლების უნარი. ვეგეტაციის პერიოდი გრძელდება ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე. სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მცენარის მიწისზედა ნაწილს, ძირითადად ფოთლებს, რომლის აღება ხდება ბუტონიზაციის პროცესში სეზონზე 2-3-ჯერ მოცელვით. ნაყოფი თესლია, ძალიან წვრილი, თითისტარისებური ფორმის, მომწიფებისას ყავისფერი შეფერვის. თესლის ზედაპირზე შეინიშნება ვერტიკალური ზოლები, რომლებიც გადაადგილებულია ქოლგის მაგვარად და წარმოადგენს საფრენ საშუალებას, 1000 ცალი თესლის მასა 0,39-0,50 გრ-ია.

სტევიის ჯიში პოპულაცია „დედა’’ რეკომენდებულია გასავრცელებლად დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 031 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 10 31

განაცხადის დასახელება: ხორბალი „ლომთაგორა 149”

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი Triticum aestvitum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრო–სამეცნიერო ჯგუფი „ლომთაგორა",
დავით ბედოშვილი, გულნარი ჩხუტიაშვილი, კახა ლაშხი,
ზოია სიხარულიძე, ირაკლი რეხვიაშვილი,
გალინა მეფარიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ლომთაგორა 149“ რბილი ხორბლის ჯიშია. ხასიათდება ადაპტაციის მაღალი უნარით, აღმოცენებულ და გადარჩენილ მცენარეთა რაოდენობა შეადგენს 90%-ს. ბუჩქი ნახევრადგართხმულია, მცენარე სწორმდგომი, საშუალო სიმაღლის (95-97 სმ), ჩაწოლისადმი მდგრადი. პირველი იანვრიდან 125-130 დღეში იწყებს დათავთავებას. თავთავი თეთრია, ფხიანი, ცილინდრული ფორმის, საშუალო სიგრძის (10-11 სმ) და სიმჭიდროვის. თავთავზე პროდუქტიული თავთუნების რაოდენობა მაღალია. მცენარეზე თავთავები თანაბარ სიმაღლეზეა განლაგებული, კარგად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისათვის. მარცვალი - წითელი, მინისებრი კონსისტენციის. ერთ თავთავში 55-60 მარცვალია. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 41-43 გრამს. მარცვალში სველი წებოგვარას შემცველობა კი 23-25,0%-ია. ჯიში იძლევა სტაბილურ მოსავალს, საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 5,0-5,5 ტ/ჰა-ზე. მცენარე გამძლე და ზომიერად გამძლეა სოკოვანი დაავადებების (ჟანგას სახეობები, ნაცარი, სეპტორიოზი) მიმართ. ჯიში „ლომთაგორა 149" განკუთვნილია საქართველოში ხორბლის მთესველი ყველა რეგიონისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 032 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 10 31

განაცხადის დასახელება: ხორბალი „ესტივუსი”

გვარი და სახეობა: *საშემოდგომო ხორბალი Triticum aestvitum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

საატენ-იუნიონი GmbH,
დოქტორ ჰერმან შტრუბე შტრუბე GmbH&Co. KG

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

საშემოდგომო ხორბალი "ESTIVUS" (A-ხარისხის) (ბოტანიკური დასახელება Triticum aestivum L.emend. Fiori et Paol) არის შედარებით ახალი გერმანული ჯიში. „ესტივუსი’’ არის სამმაგი შეჯვარებით გამოყვანილი ჯიში: PETRUS x STRU 91-215-0232 / x STRU 981432.1. ეს ჯიში ძალიან საღი და რეზისტენტულია გარემო ფაქტორების მიმართ. მაღალი ხარისხის მოსავალი მიიღწევა კულტივაციის დაბალი ინტენსივობით. კარგად ერწყმის მარცვლის როტაციას „ხორბალი-ხორბალი’’ და „მარცვალი-ხორბალი’’. სიცივისადმი გამძლეობა არის საშუალოდან მაღლისაკენ, ხოლო გვალვისადმი გამოირჩევა მაღალი რეზისტენტულობით. ამ ჯიშის ხორბლის ფქვილი მაღალი ხარისხისაა. დათესვის დრო და რაოდენობა მოქნილია ადრეულიდან გვიან პერიოდამდე. მცენარე არის საშუალო სიმაღლის, გამოირჩევა მაღალი გამძლეობით ფოთლის ყვითელი ლაქებისადმი, ყავისფერი გუდაფშუტასა და ფუზარიუმისადმი. რეგისტრირებულია გერმანიაში, ბელგიაში, ავსტრიასა და პოლონეთში.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 033 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 10 31

განაცხადის დასახელება: ხორბალი „გენიუსი”

გვარი და სახეობა: *საშემოდგომო ხორბალი Triticum aestvitum L.*


სელექციონერ(ებ)ი:

საატენ იუნიონი GmbH,
დოქტ. რალფ შაკშნაიდერი NORDSAAT საათცუხტ GmbH
საათცუხტ ლანგენშტეინ

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

საშემოდგომო ხორბალი GENIUS (E-ხარისხის) (ბოტანიკური დასახელება Triticum aestivum L.emend. Fiori et Paol) არის შედარებით ახალი გერმანული ჯიში. „გენიუსი" არის ორმაგი დამყნობით გამოყვანილი ჯიში: A ACK 3094 x NORD 00/412. ეს ჯიში გვაძლევს არა მხოლოდ უხვი რაოდენობისა და მოცულობის, არამედ სტაბილურ მოსავალს მწირ ნიადაგზეც კი. იგი შემოსავლიანია როგორც მცხობელებისათვის, ასევე ფერმერებისათვის. სიცივისადმი და გვალვისადმი მაღალი რეზისტენტულობით გამოირჩევა. თესვის დრო და რაოდენობა შეიძლება ადაპტირდეს ადგილობრივად. ჯიშს აქვს საშუალო სიმაღლე და საშუალოდან მაღლისაკენ რეზისტენტულობა დაავადებული ნიადაგისადმი. რეზისტენტულია ყავისფერი გუდაფშუტასადმი და პარაზიტებისადმი. რეგისტრირებულია გერმანიასა და უნგრეთში.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 034 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 10 31

განაცხადის დასახელება: ხორბალი „ალატუსი"

გვარი და სახეობა: *საშემოდგომო ხორბალი Triticum aestvitum L.*

სელექციონერ(ებ)ი:


საატენ-იუნიონი GmbH,
დოქტორ ჰერმან შტრუბე შტრუბე GmbH&Co. KG

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ხორბალი "ALATUS" (B-ხარისხი) (ბოტანიკური დასახელება Triticum aestivum L. emend. Fiori et Paol) არის შედარებით ახალი გერმანული ჯიში. სელექციონერია შტრუბე გმბჰ და კო.კგ. „ალატუსი" სამმაგი შეჯვარებით გამოყვანილი ჯიშია: AxB/xC => A: WW-Stamm VH1127.89 (Fidel x Stamm/x Obelisk); B: STRU 923071 (WW-StammxSW-Stamm/x obelisk); C: Melon.

ეს ჯიში ძალიან საღი და რეზისტენტულია გარემო ფაქტორების მიმართ. მაღალი ხარისხის მოსავალი მიიღწევა კულტივაციის დაბალი ინტენსივობით. სიცივისადმი გამძლეობა არის საშუალოდან მაღლისაკენ, ხოლო გვალვისადმი გამოირჩევა მაღალი რეზისტენტულობით. ამ ჯიშის ხორბლის ფქვილი მაღალი ხარისხისაა. მცენარე არის საშუალო სიმაღლის. მას გააჩნია მაღალი გამძლეობა ფოთლის ყვითელი ლაქებისა და ყავისფერი გადაფშუტისადმი. რეგისტრირებულია ავსტრიაში.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 035 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 12 11

განაცხადის დასახელება: სიმინდი „ბექა”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ოთარ ლიპარტელიანი, ტოშია თავაძე, ფილარეტ ბეგოიძე,
ნუნუ ჟვანია, მანანა ირიაული, ბექა ლიპარტელიანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

სინთეტიკური ჯიში „ბექა“ გამოყვანილია ნარინჯისფერი კაჟა, კბილა და ნახევრად-კბილა უცხოური და ადგილობრივი სიმინდის ფორმების ურთიერთშეჯვარებითა და გამორჩევით. სახესხვაობა - ნახევრადკბილა. მარცვალი ნარინჯისფერი, საშუალო ზომის, 1000 მარცვლის მასა 338 გრ. ტარო საშუალო ზომის, სიგრძე - 18-19 სმ. მასა - 345 გრ. მარცვლის რიგების რიცხვი - 14. ფორმა - სუსტი კონუსისებური, ნაქუჩი - წითელი, მცენარე საშუალო სიმაღლის - 250-260სმ. ფოთლების რაოდენობა - 18-19, მიწისზედა მუხლების რიცხვი - 15-16. ბარტყობა არ ახასიათებს. ერთ მცენარეზე ვითარდება საშუალოდ 1,3 ტარო. ტაროს მიმაგრების სიმაღლეა 85 სმ. გამძლეა ჩაწოლისა და დაავადებებისადმი. არის საშუალო ვეგეტაციის. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 112 დღე სჭირდება. მაღალ აგროფონზე მარცვლის მოსავალია 6-7 ტ/ჰა-ზე. რეკომენდებულია საქართველოს სიმინდის მთესველ რაიონებში გასავრცელებლად.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 036 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 12 11

განაცხადის დასახელება: სიმინდი „წილკანი 1”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ოთარ ლიპარტელიანი, ტოშია თავაძე, ფილარეტ ბეგოიძე,
ნუნუ ჟვანია, მანანა ირიაული, ბექა ლიპარტელიანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჰიბრიდი „წილკანი 1“ გამოყვანილია ხაზის „აბაშური ყვითელი 30“ შეჯვარებით ხაზთან „MO-17". სახესხვაობა - კბილა. მარცვალი - ყვითელი, მსხვილი. 1000 მარცვლის მასაა 355 გრ. ტარო - დიდი ზომის, სიგრძე 18-20 სმ. მასა - 340 გრ. მარცვლის რიგების რიცხვი 14, ფორმა სუსტი კონუსური, ნაქუჩი ღია ვარდისფერი, მცენარე საშუალო სიმაღლის - 230-240სმ. ფოთლების რაოდენობა - 15-17, მიწისზედა მუხლების რიცხვია 13-14. ბარტყობა არ ახასიათებს. ერთ მცენარეზე ვითარდება საშუალოდ 1-2 ტარო.
ტაროს მიმაგრების სიმაღლეა 85 სმ. გამძლეა ჩაწოლისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ. არის საშუალო ვეგეტაციის, სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 115 დღეა.
ნორმალურ აგროფონზე მარცვლის მოსავალია 9-10 ტონას ჰა-ზე. არის უნივერსალური მიმართულების როგორც სასურსათოდ, ასევე საფურაჟედ. რეკომენდებულია როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველოს სიმინდის მწარმოებელი რაიონებისთვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 037 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 12 11

განაცხადის დასახელება: სიმინდი „წილკანი 2”

გვარი და სახეობა: *სიმინდი Zea Mays*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
ოთარ ლიპარტელიანი, ტოშია თავაძე, ფილარეტ ბეგოიძე,
ნუნუ ჟვანია, მანანა ირიაული, ბექა ლიპარტელიანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჰიბრიდი „წილკანი 2“ გამოყვანილია ხაზის „ქართული კრუგი 44“ შეჯვარებით ხაზთან B-73. სახესხვაობა - კბილა. მარცვალი - ყვითელი, საშუალო ზომის. 1000 მარცვლის მასაა 340 გრ. მარცვლის რიგების რიცხვი 18, ფორმა - ცილინდრული, ნაქუჩი ვარდისფერი, მცენარე საშუალო სიმაღლისაა - 240-250 სმ. ფოთლების რაოდენობა 17-18, მიწისზედა მუხლების რიცხვი 14-15 ბარტყობა არ ახასიათებს. ერთ მცენარეზე ვითარდება საშუალოდ 1-3 ტარო. ტაროს მიმაგრების სიმაღლე 90 სმ. გამძლეა ჩაწოლისა და სოკოვანი დაავადებებისადმი. არის საშუალო ვეგეტაციის, სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 110-115 დღეა.
ნორმალურ აგროფონზე მარცვლის მოსავალი შეადგენს 8-9 ტონას ჰა-ზე.
რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს როგორც სარწყავ, ასევე ურწყავ რაიონებში გასავრცელებლად.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 038 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 12 11

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „მესხური წითელი"

გვარი და სახეობა: *კარტოფილი Solanum tuberosum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს ფირმა „აგრო ქართუ",
ანა გულბანი, რევაზ სიჭინავა, ილია მჭედლიძე,
ია ანთია, დალი წიკლაური

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

კარტოფილის ჯიში „მესხური წითელი", რომელიც ბოტანიკურად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L., არის საშუალოდ საგვიანო ჯიში, აქვს მუქი წითელი კანი. ის არის უხვმოსავლიანი კარტოფილის ჯიში, საშუალოდ 7-9 ბოლქვით თითო მცენარეზე. გამოირჩევა მსხვილი ტუბერებით და ტუბერებზე ღრმად ჩამჯდარი თვლებით, სასურსათო წარმოებისთვის ტუბერის ზომა საშუალოდ 70-110 მმ, წონა - 150-220 გრამია. ბოლქვი ოვალურ-წაგრძელებულია, ძირითადად ერთგვაროვანი ფორმის, სქელკანიანი. საკმაოდ კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია შემდეგი ვირუსული დაავადებების მიმართ: PVX, PVY, PVA, PVS. ჯიშის „მესხური წითელი'' სამომხმარებლო ხარისხი საკმაოდ მაღალია, ვარგისია ნედლად მოხმარებისათვის. შიგთავსის მშრალი ნივთიერება თითქმის 18-19%-ია, კულინარული ტიპის. აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია.

კარტოფილის ჯიში „მესხური წითელი" მაღალმოზარდია, აქვს ძლიერი ღერო და კარგი დაფარვა, მოიისფრო ყვავილები და კენკროვანი ნაყოფის მცირე რაოდენობა. იგი საშუალოდ ტოლერანტულია მექანიკური დაზიანებისა და ლურჯი ლაქებისადმი. ახასიათებს კარგი გამძლეობა სიცხისა და გვალვის მიმართ, კარგი ტოლერანტობა შიდა დეფექტებზე, კარგად ინახება, ახასიათებს მოკლე მოსვენების პერიოდი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 039 **რეგისტრაციის თარიღი:** 2012 12 11

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „მესხური"

გვარი და სახეობა: *კარტოფილი Solanum tuberosum L.*


სელექციონერ(ებ)ი:

შპს ფირმა „აგრო ქართუ",
ანა გულბანი, რევაზ სიჭინავა, ილია მჭედლიძე,
ია ანთია, დალი წიკლაური

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

რეგისტრაციის ნომერი: 147 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 09 30

განაცხადის დასახელება: ბაღის ლურჯი მოცვი „ბლუკროპი“

გვარი და სახეობა: *ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ბლუკროპის“ ჯიშის მცენარეები 1,6-2 მეტრი სიმაღლის სწორმდგომი ბუჩქებია. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს დასაწყისიდან. მოსავალი რეგულარულად მაღალია – 6-9 კგ. ბუჩქიდან. ნაყოფი მსხვილია (დიამეტრი 18-20 მმ.), ღია ცისფერი, მკვრივი, მაღალი ხარისხის და ძალიან კარგი გემოთი. კენკრა ნაყოფი გრძელ გახსნილ მტევნებადაა შეკრული. ნიადაგი უნდა იყოს ნოყიერი, ტენით უზრუნველყოფილი და მჟავე. მცენარე გამოირჩევა ყინვაგამძლეობითაც.

დღეისათვის „ბლუკროპი“ ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიშია (ამ ჯიშით გაშენებულია სამრეწველო პლანტაციების 60% მსოფლიოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპაში). ბუჩქი გამოირჩევა კარგი დეკორატიული შესახედაობით გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე ლამაზი ფოთლების, დიდი ზომის ყვავილებისა და ნაყოფის გამო.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია გათიღად იქნა ცნობილი

რეგისტრაციის ნომერი: 148 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 10 24

განაცხადის დასახელება: ხორბალი „თბილისური 15“

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი* *Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
ლევან უჯმაჯურიძე, ცოტნე სამადაშვილი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, დავით ბედოშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში მიეკუთვნება რბილი ხორბლის სახეობას (Triticum aestivum L.) და წითელმარცვლიან უფხო ფორმის სახესხვაობას – var. lutescens (Alef.).
ჯიში „თბილისური 15“ გამოირჩევა ზამთარ და გვალვაგამძლეობით, ხასიათდება აღმოცენების მაღალი უნარით, ძლიერი ფესვთა სისტემითა და საშუალო ბარტყობით. კარგად განვითარებული პროდუქტიული თავთავების რაოდენობა მცენარეზე 2.5-დან 3.5-ის ფარგლებში ცვალებადობს, რომლებიც მცენარეზე ერთ სიმაღლეზეა განლაგებული. სტანდარტ ჯიშთან შედარებით 3-5 დღით საადრეოა. მცენარის მაქსიმალური სიმაღლე 105 სმ, გამძლეა ჩაწოლისადმი, ადვილად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისთვის. თავთავი თეთრი, 9.5-11 სმ სიგრძის, კარგად განვითარებული 22-25 თავთუნით, მარცვალი მსხვილი, წითელი, რქისებრი კონსისტენციის. მცენარე საშუალოდ გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.
ჯიშის „თბილისური 15“ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1.5-2 ტონით მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯიშების „ბეზოსტაია 1“ და „ჯაგერი“. მაღალი აგროფონის პირობებში ჯიშის მოსავლიანობის პოტენციალია 7.5-8.5 ტ/ჰა-ზე.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 149 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 10 24

განაცხადის დასახელება: ხორბალი „აბრუნი 1“

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი,
დავით ბედოშვილი, ცოტნე სამადაშვილი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, ნინო კაჭარავა

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში მიეკუთვნება რბილი ხორბლის სახეობას (Triticum aestivum L.) და თეთრმარცვლიან ფხიან ფორმის სახესხვაობას – var. erytrospermum.
.ჯიში „აგრუნი 1“ გამოირჩევა ზამთრის და გვალვაგამძლეობით, ხასიათდება აღმოცენების მაღალი უნარით, ძლიერი ფესვთა სისტემითა და მაღალი ბარტყობით. კარგად განვითარებული პროდუქტიული თავთავების რაოდენობა მცენარეზე 5.5-დან 7.5-ის ფარგლებში ცვალებადობს, რომლებიც მცენარეზე ერთ სიმაღლეზეა განლაგებული. სტანდარტ ჯიშთან შედარებით 3-5 დღით საადრეოა. მცენარის მაქსიმალური სიმაღლეა 75-85სმ, გამძლეა ჩაწოლისადმი, ადვილად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისთვის. თავთავი თეთრი ფერის, ფხიანი, 9.5-11,5 სმ სიგრძის, კარგად განვითარებული 23-25 თავთუნით, მარცვალი მსხვილი, თეთრი, ნახევრადრქისებრი კონსისტენციის. მცენარე საშუალოდ გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.
ჯიშის „აგრუნი 1“ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1.5-2 ტონით მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯიშების „ბეზოსტაია 1“ და „ჯაგერი“. მაღალი აგროფონის პირობებში, ჯიშის მოსავლიანობის პოტენციალი 7.5-8.5 ტ/ჰა-ზე.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 150 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 10 24

განაცხადის დასახელება: მაშა ლობიო „ყვრილმარცვალა“

გვარი და სახეობა: *მაშა ლობიო PHAUREUS*

სელექციონერ(ებ)ი:

ნატო კაკაბაძე, ავთანდილ კორახაშვილი,
პაშა ვაჩეიშვილი, ნათია ხონელიძე,
ლევან ტყემალაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „ყვრილმარცვალა“ – სელექციური ნომრით VG 6368(46-40-4) მიეკუთვნება ლობიოს გვარს, ამიტომ მას მოიხსენიებენ, როგორც ოქროსფერ ლობიოს. 2010 წელს მიღებულია ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან.
ჯიში არის წვრილმარცვლიანი. სწორედ აქედან წარმოსდგება ჯიშის სახელწოდება. ის მრავლდება თესლით. თესლის ფორმა მოგრძო და წვრილია, მუქი მწვანე შეფერილობის. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 70 გრამს. ნაყოფი ანუ პარკი 7-15 სმ სიგრძისაა, თესლი პარკში 10-13-ცალია. თესლის სიგრძე 3,7-7 მმ-ია.
მცენარის სიმაღლე 70 სმ. ღერო სწორმდგომია, ახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთკენ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ჯიში ყვრილმარცვალას ბუჩქზე ირჩევა სათესლედ 30-35-მდე სტანდარტული პარკები, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისათვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას. კალორიულობით 3,5-ჯერ აღემატება კარტოფილს და 6-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, სალათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა: ღერო, ფოთლები, მოუმწიფარი პარკები – საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის, რის გამოც მატულობს წველადობა. პარკების კალორიულობა: 100 გ – 56,8 კკალ. პარკებში არის: ნახშირწყალი 8,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 6 გ, ორგანული მჟავიანობა 0,7 გ, წყალი 83 გ, სახამებელი 6 გ, მონო და დისაქარიდები 1,6 გ. მარცვალი გამოირჩევა ცილების და განსაკუთრებით ამინომჟავეების (ლიზინი 8%, არგინინი 7%) შემცველობით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 151 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 10 24

განაცხადის დასახელება: მაშა ლობიო „უხვმოსავლიანი“

გვარი და სახეობა: *მაშა ლობიო* *PHAUREUS*

სელექციონერ(ებ)ი:

ნატო კაკაბაძე, ავთანდილ კორახაშვილი,
გურამ ალექსიძე, ნათია ხონელიძე,
თინათინ ეპიტაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „უხვმოსავლიანი“ – სელექციური ნომრით VG 6372(45-8-1) მიეკუთვნება ლობიოს გვარს, ამიტომ მას მოიხსენიებენ, როგორც ოქროსფერ ლობიოს. 2010 წელს მიღებულია ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. ჯიში არის მაღალმოსავლიანი. სწორედ აქედან წარმოსდგება ჯიშის სახელწოდება – უხვმოსავლიანი. ის მრავლდება თესლით. თესლის ფორმა კასრისებურია და ჭიპი თესლის საერთო სიბრტყეზე მდებარეობს. თესლი წვრილი, მუქი მწვანე შეფერილობისაა.
1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 80 გრამს. ნაყოფი ანუ პარკი 8-18 სმ სიგრძისაა, თესლი პარკში 10-15-ცალია. თესლის სიგრძე 3,5-6 მმ-ია. მცენარის სიმაღლე 75 სმ. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთკენ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ჯიში უხვმოსავლიანის ბუჩქზე ირჩევა სათესლედ 35-40-მდე სტანდარტული პარკები, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისათვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას. მწვანე ფაზაში პარკი შეიცავს 24-37% ცილას; შეუცვლელ ამინომჟავებს: ლიზინს, ტრიპტოფანს, ჰისტამინს, მეთიონინს; ასევე, ვიტამინებს: A, B, ასკორბინის მჟავას, სახამებელს. მშრალი მარცვალი შეიცავს: 32-37% ცილოვან ნაერთებს, 50-60% ნახშირწყლებს, 2,1-2,2 გ ცხიმს, 4% კაროტინს. რქისებურ სიმწიფეში მარცვალი შეიცავს 5-7% ცილას, 4-6% ნახშირწყალს, პექტინებს, ვიტამინებს: B1, B2, PP.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 152 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 10 24

განაცხადის დასახელება: ბროკოლი „წილკნის მწვანე“

გვარი და სახეობა: *ბროკოლი* *Brassica asparagoida Lizg*

სელექციონერ(ებ)ი:

ნატო კაკაბაძე, ელენე მოთიაშვილი,
დავით გეგეჭკორი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ბროკოლის ახალი ჯიში „წილკნის მწვანე“ მიღებულია გამორჩევის მეთოდით, ჯიში საადრეოა, სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან პირველი მოსავლის აღებამდე 100- 105 დღე. თავი მკვრივი, მწვანე ფერის, შუა ნაწილი ოდნავ ამობურცული, ფოთოლის ფერი მწვანე-მონაცრისფრო. ბროკოლის თავის საშუალო მასა მერყეობს 300-350 გრამის ფარგლებში. საჰექტარო მოსავალი 9,3 ტ/ჰა-ზე. ბროკოლის ახალი ჯიში „წილკნის მწვანე“ მიღებულია გამორჩევის მეთოდით, ჯიში საადრეოა, სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან პირველი მოსავლის აღებამდე 100- 105 დღე. თავი მკვრივი, მწვანე ფერის, შუა ნაწილი ოდნავ ამობურცული, ფოთოლის ფერი მწვანე-მონაცრისფრო. ბროკოლის თავის საშუალო მასა მერყეობს 300-350 გრამის ფარგლებში. საჰექტარო მოსავალი 9,3 ტ/ჰა-ზე.

საქართველოში მისი გავრცელების არეალი ფართოა, ვრცელდება ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე და მეტზე. მოხმარების თვალსაზრისით ჯიში საუკეთესო საგემოვნო თვისებებით ხასიათდება, მაგრამ ნაკლებ შენახვისუნარიანია, აუცილებლად უნდა შევინახოთ მაცივარში, რადგან თავი ყვავილედებად იფანტება. ჯიში ინვითარებს ძლიერ სასიმილაციო აპარატს. ჯიში მაღალმოზარდია, მცენარის სიმაღლე 62 სმ, ფოთლების რაოდენობა 33 ცალი, მურკის სიმაღლე 33 სმ, ფოთლის სიგანე 20 სმ, სიგრძე 30 სმ. ყუნწის სიგრძე 19 სმ. ყვავილი ყვითელი და ორსქესიანი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 153 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 11 25

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ნინა“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ნანა კანდელაკი, გიორგი ახვლედიანი,
ვლადიმერ ცომაია

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევია ეკუთვნის სრული გარდაქცევის მწერთა კლასს. ჯიში „ნინა“ - მონოვოლტინური თვისებების მატარებელი ჯიშია, ზაფხულის მაღალ ტემპერატურას კარგად იტანს; ზოგჯერ ბივოლტინურ თვისებებსაც ავლენს და ამ თვისებების მართვაც საჭიროებისამებრ შესაძლებელია. პარკის ფორმა – ცილინდრული, ან ოდნავ გამოყვანილი, ძაფი უწვრილესი, უწმინდესი – მაღალი მეტრული ნომრით. ხასიათდება: გრენის გაცოცხლების მაღალი უნარით 100%, მაღალი აბრეშუმიანობით – 27.53%, პარკის უხვი მოსავლიანობით (112.4 კგ) და წარმოებისათვის უმთავრესი – პარკის „ძაფის საწარმოო სიგრძით“ (1500-1600 მ).

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 154 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 11 25

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „თბილისური-2“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ნანა კანდელაკი, ჟუტიკო ასათიანი,
ბექა ახვლედიანი, თამარ ცომაია

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი ჯიში „თბილისური-2“ მყარი მონოვოლტინური ჯიშია. კარგად იტანს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას, გამოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისთვის; ძლიერ იმუნური ჯიშია, გამძლრეა ამ სახეობისათვის დამახასიათებელი ყველა დაავადებისადმი: ხასიათდება გრენის გაცოცხლების მაღალი %-ით (99-100), მაღალი ხარისხის პარკით, მაღალი აბრეშუმიანობით და უხვმოსავლიანობით. თავისი სამეურნეო მაჩვენებლებით ბევრად აღემატება საწყისი ჯიშის მონაცემებს, რომელიც მას დანერგვისას ჰქონდა და მსოფლიო სტანდარტს, მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნების მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვნად აღემატება.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 155 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 11 25

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ქვაციხე“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ნანა კანდელაკი, თამარ აბაშიძე,
ლელა სეფერთელაძე, ნონა ჩხაიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „ქვაციხე“ გამოყვანილია მკაცრ გარემოში, მონოვოლტინური ჯიშია, კარგად უძლებს მაღალ ტემპერატურას. ზაფხულის გამოკვების დროს კარგ შედეგებს ამჟღავნებს და ამ პერიოდში დამზადებული გრენა მომავალი წლისათვის მეტხანს უძლებს დაზამთრების პერიოდს.
დაავადებისადმი სტაბილურად იმუნურია, რადგან ღია გარემოში მისი ციკლური განვითარების სტიმულაცია განპირობებულია როგორც სეზონური, ისე დღე-ღამური ცვლილებებით. გამოირჩევა სხვა ჯიშებისაგან, საწარმოო გამოცდა 2005 წელს გაიარა ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში ჭიის ორსაფეხურიანი გამოკვების მეთოდით. ამ გამოკვების შედეგებს – პარკის წონა – 2.9 გრ, გარსის წონა 750 მგ. აბ-რეშუმიანობა 26%, მოსავალი 1 გრ, 6.5 კგ – დღემდე, მცირე ლავირებით, ინარჩუნებს.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 156 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 11 25

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „მედგარი“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.*

სელექციონერ(ებ)ი:


ნანა კანდელაკი, თეიმურაზ ცომაია,
ნოდარ სტეფანიშვილი, თამთა კერვალიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიში „მედგარი“ მყარი ჯიშური ნიშან-თვისებებით ხასიათდება, მისი სამეურნეო მახასიათებლები თაობებში მყარად მეორდება, მონო-ვოლტინური ჯიშია, მაღალ ტემპერატურას კარგად უძლებს, ჯანსაღი, მაღალპრო-დუქტიული ჯიშია. გამოყვანილია მკაცრ გარემოში და მისი ციკლური განვითარების სტიმულაცია განპირობებულია გარემოს, როგორც სეზონური, ისე დღე-ღამური ცვლილებებით.

თუთის აბრეშუმხვევიას (Bombux mori L.) დაბრუნება გარემოში ახალი სიტყვაა ბიოლოგიაში და დიდი პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტაა. მრეწველობის მოთხოვნას ნედლეულისადმი – აბრეშუმის ბოჭკოს უმნიშვნე-ლოვანესი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, ძაფის სიგრძე, სიმსხო, სიმაგრე, ჭიმვადობა, ამოხვევის უნარიანობის მაღალი პროცენტი, ძაფის საწარმოო სიგრძე (1500 მ), მაღალი მეტრული ნომერი – აკმაყოფილებს. ბოლო 8 წლის (2009-2016 წწ) მონაცემები ამ ჯიშის აბრეშუმიანობის საშუალოდ 27.69%-ია და პარკის მოსავლიანობის 98.97 კგ, რაც ჯიშის იმუნურობასა და მაღალ ცხოველმყოფელობაზე მიუთითებს.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 157 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 11 25

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ფიბურული“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ნანა კანდელაკი, მამუკა ახვლედიანი,
გიორგი ჩიკვილაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევია ეკუთვნის სრული გარდაქცევის მწერთა კლასს.
ჯიში „ფიგურული“ მყარი მონოვოლტინური ჯიშია, კარგად იტანს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას; დაავადებებს - ეს ჯიში არც იცნობს. (ისევე, როგორც ჩვენს მიერ წარმოდგენლი სხვა ახალი ჯიშები). პარკი ძალიან მკვრივი, წელში მკვეთრად გამოყვანილი, თეთრი პარკის საშუალო წონაა 2,43 გრ, მყარ ჯიშურ ნიშან-თვისებად ჩამოყალიბებული გარსის წონა არ არის დამოკიდებული პარკის წონაზე. გრენის გაცოცხლების აბსოლუტური პროცენტი აბრეშუმიანობის 27.%-ია, ზოგჯერ - 31%-იც. გამოირჩევა პარკის უხვი (108.45კგ) მოსავლიანობით და წარმოებისათვის უმთავრესი - „ძაფის საწარმოო სიგრძით“, რომელიც შთამბეჭდავია (1500-1600 მ).

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 158 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 11 25

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ივერია-2“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია Bombyx mori L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ნანა კანდელაკი, თამარა ლებსწვერიძე,
ხათუნა ახვლედიანი, ნანა სოფრომაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევია ეკუთვნის სრული გარდაქცევის მწერთა კლასს. ჯიში „ივერია-2“ ძირითადად მონოვოლტინური თვისებების მატარებელია, კარგად იტანს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას და მყარი სამეურნეო მაჩვენებლებით ხასიათდება. „ივერია-2“ მყარი მუნურ ჯიშად არის ჩამოყალიბებული, ამ სახეობისათვის დამახასიათებელი ყველა დაავადებისადმი გამძლეობით, რაც მეაბრეშუმეობის დარგის რენტაბელურობის უპირველესი არგუმენტია.

ხასიათდება: გრენის გაცოცხლების მაღალი უნარით, 99-100%-ით; მაღალი მოსავალით – (28.57%) – აბრეშუმიანობით (საწყისი მასალის 21.5%); პარკის სიუხვით (108 კგ. საშ. 1 კოლოფი ჭიიდან) და რაც უმთავრესია პარკის ძაფის საწარმოო სიგრძით (1500 მ) ანუ პარკის ძაფის სიგრძე I გაწყვეტამდე. ყველა ამ მაჩვენებლით „ივერია-2“ მსოფლიოს მეაბრეშუმეობის მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებს ორჯერ აჭარბებს, რომელიც თავის დროზე მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრმა მოგვაწოდა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 159 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ელიტა“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე,
ზოია წყარუაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში „ელიტა“ გამოყვანილია სინთეზური სელექციის გზით და თაობებში მკაცრი ინდივიდუალური შერჩევით. იგი რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.

ჯიშის ნიშან-თვისებები:

გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.

1 გრამში გრენის რაოდენობა – 1580-1590 ცალი.

1 გრამში ჭიის რაოდენობა – 2300-2350 ცალი.

ჭია - ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 29-30 დღე.

პარკი - თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა - 2,1-2,3 გრ-მდე. საშუალო ყალიბის, გარსის მასა - 560-580 მგ, აბრეშუმიანობა - 24-27%. ძაფი-წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 160 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „დინა“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე,
ზოია წყარუაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში „დინა“ გამოყვანილია სინთეზური სელექციის გზით და თაობებში მკაცრი ინდივიდუალური შერჩევით. იგი რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.

ჯიშის ნიშან-თვისებები:
გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.
1 გრამში გრენის რაოდენობა -1580-1590 ცალი.
1 გრამში ჭიის რაოდენობა - 2200-2300 ცალი.
ჭია - ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 29-30 დღე. პარკი - თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა 2,2-2,5 გრ-მდე. საშუალო ყალიბის, გარსის მასა 550-550 მგ, აბრეშუმიანობა 23-25%.
ძაფი - წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 161 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „აისი -2“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე,
ზოია წყარუაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში „აისი-2" გამოყვანილია სინთეზური სელექციის გზით და თაობებში მკაცრი ინდივიდუალური შერჩევით. რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.
ჯიშის ნიშან-თვისებები:
გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.
1 გრამში გრენის რაოდენობა - 1500-1550 ცალი.
1 გრამში ჭიის რაოდენობა - 2000-2100 ცალი.
ჭია - ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა - 29-30 დღე. პარკი - თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა 2,2-2,3 გრ-მდე. საშუალო ყალიბის, გარსის მასა 550-570 მგ, აბრეშუმიანობა - 24-25%.
ძაფი - წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 162 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ჰერეთი“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე,
ზოია წყარუაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში „ჰერეთი“ გამოყვანილია სინთეზური სელექციის გზით და თაობებში მკაცრი ინდივიდუალური შერჩევით. რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.

ჯიშის ნიშან-თვისებები:

გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.

1 გრამში გრენის რაოდენობა - 600-1610 ცალი.

1 გრამში ჭიის რაოდენობა - 2100-2400 ცალი.

ჭია - ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 29-30 დღე. პარკი - თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა 2,3 -2,4 გრ-მდე. საშუალო ყალიბის, გარსის მასა 520-540 მგ, აბრეშუმიანობა 24-25%.

ძაფი - წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 163 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევიას ჰიბრიდი „აისიxდინა“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჰიბრიდი „აისი×დინა" მიღებულია ჯიშების „აისისა" და „დინასაგან".

ჰიბრიდის ნიშან-თვისებები:
გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.
1 გრამში გრენის რაოდენობა – 1500-1550 ცალი.
1 გრამში ჭიის რაოდენობა – 2000-2100 ცალი.
ჭია – ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 29-30 დღე. პარკი – თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა 2,2 -2,3 გრ-მდე. საშუალო ყალიბის, გარსის მასა 550-570 მგ, აბრეშუმიანობა 24-25%. ძაფი-წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 164 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევიას ჰიბრიდი „დინაxაისი“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჰიბრიდი „დინა×აისი“ მიღებულია ჯიშების „დინასა“ და „აისისაგან“. იგი რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.
ჰიბრიდის ნიშან-თვისებები:
გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.
1 გრამში გრენის რაოდენობა – 1500-1550 ცალი.
1 გრამში ჭიის რაოდენობა – 2000-2100 ცალი.
ჭია – ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 29-30 დღე. პარკი-თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა 2,2 -2,3 გრ-მდე. საშუალო ყალიბის, გარსის მასა 550-570 მგ, აბრეშუმიანობა 24-25%. ძაფი – წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 165 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „ანისია“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანასტასია გიორგაძე, ლოლა კობახიძე,
ელისო წოწკოლაური, ნარგიზ ბარამიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში „ანისია“ გამოყვანილია სინთეზური სელექციის გზით და თაობებში მკაცრი ინდივიდუალური შერჩევით. იგი რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოში გასავრცელებლად.
ჯიშის ნიშან-თვისებები:
გრენა ნაცრისფერია, საშუალო სიდიდის.
1 გრამში გრენის რაოდენობა – 1560-1580 ცალი.
1 გრამში ჭიის რაოდენობა – 1970-2000 ცალი.
ჭია - ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 29-30 დღე. პარკი - თეთრი, ოვალური ფორმის, ძალიან მკვრივი. 1 პარკის საშუალო მასა 2,2 -2,3 გრ-მდე.საშუალო ყალიბის, გარსის მასა 500-570 მგ, აბრეშუმიანობა 23-25%. ძაფი - წმინდა, თანაბარზომიერი, გრძელი 2000 მეტრი და ზევით. მისგან მზადდება 1,56 ტექსი ხაზობრივი სიმკვრივის ხამი ძაფი, მეტრული ნომერი 4000 და ზევით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 166 **რეგისტრაციის თარიღი:** 2016 12 09

განაცხადის დასახელება: თუთის აბრეშუმხვევია „დიღომი“

გვარი და სახეობა: *თუთის აბრეშუმხვევია* *Bombyx mori Lin.*

სელექციონერ(ებ)ი:

ანჟელა მათიაშვილი, მაყვალა ფრანგიშვილი,
ნარგიზ ბარამიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „დიღომი“ გამოყვანილია ანალიზური სელექციის მეთოდით.
ჯიშის „დიღომი“ გრენა ნაცრისფერია, საშუალო ზომის.
1 გრამში გრენის რაოდენობა – 1600-1650 ცალი.
1 გრამში ჭიის რაოდენობა – 2240-2340 ცალი.
ჭია – ჭრელი შეფერილობის, კვების ხანგრძლიობა 28-29 დღე. პარკები საშუალო ყალიბის, თეთრი ფერის, მომრგვალო ფორმის, პარკის გარსი საშუალო მარცვლიანი. 1 პარკის საშუალო მასა 2,2-2,5 გრ-მდე.საშუალო ყალიბის, გარსის მასა 580-620 მგ, აბრეშუმიანობა 24-26%. პარკის ძაფის სიგრძე – 1900-2000 მ, ძაფის მეტრული ნომერი – 3600-3800.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 167 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 02 07

განაცხადის დასახელება: მიწის ჭიაყელა „ქართული ახალი“

გვარი და სახეობა: *მიწის ჭიაყელა Eisenia Fetida, Lumbricidae*

სელექციონერ(ებ)ი:

გურამ გეჯაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ქართული ახალი“ ჯიშის ჭიაყელა გამოყვანილია სხვადასხვა ჯიშის ჭიაყელის შეჯვარებით, რომლებიც შეგროვდა მხოლოდ საქართველოს რეგიონებიდან, სხვადასხვა კლიმატური ზონიდან, მაგ., აჭარა, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო ქართლი, კახეთი და ა.შ. „ქართული ახალი“ ჯიშის ჭიაყელა მიღებულია მხოლოდ ბუნებრივი შეჯვარებით და არა ხელოვნური ან გმო ტექ-მიდგომებით.

„ქართული ახალი“ ჯიშის ჭიაყელას გააჩნია უკეთესი გენოტიპური და ფენოტიპური მახასიათებლები, ვიდრე მის ნებისმიერ ქართულ წინამორბედს, აგრეთვე, კალიფორნიულ წითელ ჭიაყელას. „ქართული ახალი“ ჯიშის ჭიაყელა გამოყვანილია კომპანია შპს „მაკრო-პრიმი“-ს ბიო-ფერმაში, რომელიც მდებარეობს საქართველოში, გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისში.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 168 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 03 27

განაცხადის დასახელება: სიმინდი „ქართული კრუგი მაღალლიზინიანი“

გვარი და სახეობა: *სიმინდი* *Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ოთარ ლიპარტელიანი, ფილარეტ ბეგოიძე,
გიორგი ჭონქაძე, მანანა ირიაული,
ბექა ლიპარტელიანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ქართული კრუგი მაღალლიზინიანი“ გამოყვანილია „ქართული კრუგისა“ და ამერიკული ცილოვანი გენის - O_2-ის რამოდენიმე რეციპროკული შეჯვარებით და ნაჯვარებიდან მაღალლიზინიანი მარცვლების გამორჩევითა და გამრავლებით. სახესხვაობა კბილა, მარცვალი ყვითელი ფერის, დაკბილვა ნაკლებად ემჩნევა. მარცვლის სიგრძე - 13 მმ, სიგანე - 8 მმ. სისქე - 2 მმ. 1000 მარცვლის მასა - 330 გრ, მარცვლის რიგების რიცხვი - 14, ფორმა სუსტი კონუსისებური, ნაქუჩი ვარდისფერი, მცენარის სიმაღლე - 230 სმ, ფოთლების რაოდენობა 20, მუხლების რიცხვი 14. ტაროს მიმაგრების სიმაღლე 125სმ. მარცვლის გამოსავალი ტაროდან - 83%, ტაროს საშუალო წონა - 220 გრამი. განსხვავდება ქართული კრუგის მარცვლისაგან ფერის, ბიოქიმიური შემადგენლობისა და აბსოლუტური წონის მიხედვით. შეიცავს ლიზინს ორჯერ მეტს, ვიდრე ქართული კრუგი, მისმა საშუალო მოსავალმა 102,6 ცენტნერი შეადგინა ჰექტარზე, ხოლო „ქართულმა კრუგმა“ კი - 99,7 ცენტნერი. სავეგეტაციო დღეთა რიცხვი ანალოგიურია ქართული კრუგისა, თესვიდან სრულ სიმწიფემდე სჭირდება 135 დღე.

რეკომენდირებულია აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის, როგორც სასურსათოდ, ასევე, საკვებად მეცხოველეობის ყველა დარგისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 169 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 03 27

განაცხადის დასახელება: სიმინდი „თოლია"

გვარი და სახეობა: *სიმინდი* *Zea mays L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდ. ბაზები,
ლიანა ქირიკაშვილი, ვალერიან ამირანაშვილი,
თამარა კოდუა, ავთანდილ მუმლაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

გამოყვანილია მარტივი ჰიბრიდის - "T63 X T 73" შეჯვარებით ჯიშთან "აჯამეთის თეთრი". მარცვლის ტიპი - კბილა, მარცვალი - თეთრი. 1000 მარცვლის მასა 388- 404 გრ. ტაროზე მარცვლის რიგების რაოდენობა 16-18, ტაროს ფორმა - სუსტი კონუსური. ნაქუჩის შეფერილობა - თეთრი. მცენარის სიმაღლე (ქოჩოჩოს ჩათვლით) 265 სმ, ფოთლების რაოდენობა მთავარ ღეროზე 18-19, ბარტყობა არ ახასიათებს, მცენარეზე ვითარდება 1 ტარო.ღერო გამძლეა ჩაწოლის მიმართ. ჰიბრიდი გამძლეა ჰელმინთოსპორიუმის (Helminthosporium turcicum) მიმართ, მცირედ ავადდება ფუზარიოზით. საგვიანო ვეგეტაციისაა, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 136 დღეს. მარცვლის მოსავლიანობა შეადგენს 7-8 ტ/ჰა. მარცვალი შეიძლება გამოყენებული იქნას სასურსათედ.
რეკომენდებულია გასავრცელებლად დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონისათვის და აღმოსავლეთ საქართველოს იმ სარწყავი რაიონებისათვის, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 3800 - 4500°C.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 170 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 03 27

განაცხადის დასახელება: ვაშლი „ინორედი“

გვარი და სახეობა: *ვაშლი* *MALUS DOMESTICA*

სელექციონერ(ებ)ი:

ნოვადი სარლ (FR), ინსტიტუტ დე ლა რეშარშ, აგრონომიკ-ინრა (FR), ლოურენს ფრანსუა (FR), კისტელ პიტიოტი (FR)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ინორედი“ წარმოადგენს ახალ ვაშლის ხეს, რომელიც ხასიათდება ქერცის მიმართ გამძლეობის უნარით და ნაყოფის მაღალი ხარისხით. ეს ახალი კულტურის სახეობა წარმოადგენს „Pinova“ (აშშ-ს პატენტი 11,601) x „X6398“ (დაუპატენტებელი) კონტროლირებული შეჯვარების პროდუქტს. „ინორედი“ მდგრადი ტიპის მცენარე აღმოჩნდა უსქესო გამრავლების შედეგად მიღებულ მომავალ თაობებში. „ინორედი“-ს ნაყოფი მკვეთრი შეფერილობისაა, ტკბილია, გვიან მწიფდება და ვარგისია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს ახალი სახეობა მდედრი მშობელი „Pinova“-სგან გამოირჩევა ნაყოფის უფრო გამოკვეთილი სფერული ფორმით, ნაყოფის შეფერილობის სიმკვეთრით, გვიანი დამწიფებით (14 დღე „Pinova“-ს შემდეგ) და ქერცის მიმართ გამძლეობის უნარით. „ინორედი“ „X6398“-გან გამოირჩევა ნაყოფის შეფერილობის სიმკვეთრით, ხანგრძლივი შენახვის ვადით და გვიანი დამწიფებით (14 დღე „X6398“-ის შემდეგ).

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 171 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: პომიდორი „არაგვი”

გვარი და სახეობა: *პომიდორი Licopersicum esculentum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ალექსანდრე სარალიძე, ნატო კაკაბაძე,
პეტრე ნასყიდაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში ,,არაგვი‘‘ სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით არის საშუალო-საგვიანო, სიცივის ამტანი, მოსავალს იძლევა ნოემბრის ბოლომდე. მცენარე არის ინდეტერმინანტი, ღერო ძლიერ დატოტვილი, საშუალოდ შეფოთლილი.
მუხლთაშორისების სიგრძე 5-10 სმ. შებუსული. ფოთოლი საშუალოდ დაკბილულია, მწვანე შეფერილობის. ყვავილედი - რთული, 3-4 ყვავილით. ნაყოფი მრგვალია, გლუვი ზედაპირით, წითელი შეფერილობით, პრიალა კანით, 4-5 ბუდით. მწიფე ნაყოფის საშუალო წონა 130 გრამია. 1000 ცალი თესლის წონა არის 3,50 გრამი. საერდენზე მცენარის სიმაღლე 128 სმ-ია, უსაყრდენოდ - 123სმ. სასაქონლო მოსავლიანობა საერდენის შემთხვევაში 46,2 ტ/ჰა, უსაყრდენოდ - 34,1ტ/ჰა. აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე მცენარეს ჭირდება 131 დღე. ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით მწიფე ნაყოფში არის: მშრალი ნივთიერება 5,24%, საერთო შაქარი 3,64%, ასკორბინის მჟავა 25,1%, საერთო მჟავიანობა კი 0,38%.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 172 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: ლობიო „კუტი საპარკე“

გვარი და სახეობა: *ჩვეულებრივი ლობიო Phaseolus vulgaris*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი
პაშა ვაჩეიშვილი, ნატო კაკაბაძე,
გურამ ალექსიძე, გივი ჯაფარიძე,
ლევან ტყემალაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „კუტი საპარკე“ მოვიპოვეთ თიანეთის მუნიციპალიტეტში საკარმიდამო ნაკვეთში. ერთჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. გამოვარჩიეთ, გავამრავლეთ და შევისწავლეთ. ჯიში არის მსხვილმარცვლიანი, მცენარე ტიპიური კუტი ფორმისაა (დაბალმოზარდი) მსხვილმარცვლიანია, სწორმდგომია (იშვიათად წვება). მცენარის სიმაღლე 45-55 სმ-ია. ინვითარებს გულისებური ფორმის ფართე, ღია მწვანე ფოთლებს. ღეროც და ფოთლებიც დაფარულია წვრილი ბუსუსებით. ყვავილი თეთრია, ოდნავ მოვარდისფრო.

1000 მარცვლის მასა 431 გ-ია. მარცვლის ფერი სიმწიფის ფაზაში ღია ყავისფერია. პარკი გრძელია - 16-20 სმ, პარკში მარცვლების რაოდენობა 6-8 ცალია. პარკის კუდის სიგრძე 0,5-1 სმ-ია, საპარკედ გამოყენების ფაზაში ღია მწვანე ფერისაა, მარცვლის მომწიფების ფაზაში პარკი ღია ჩალისფერია. პარკი ძირითადად სწორია, მარცვალი თირკმლისებური ფორმისაა, თეთრი ჭიპით.

ჯიში გამძლეა ფუზარიოზისა და ასკოხიტოზის მიმართ, მცირედ ზიანდება მემარცვლიათი (ბრუხუსით). ჯიში „კუტი საპარკე“ იძლევა მწვანე პარკის და მარცვლის მაღალ მოსავალს. მარცვლის მოსავალი 1,2 ტ/ჰა, ხოლო მწვანე პარკის მოსავალი 4-ჯერ დაკრეფის შემთხვევაში 17,3 ტ/ჰა. სწორად ჩატარებული აგროტექნიკის პირობებში მწვანე პარკი შეიძლება დაიკრიფოს 5-6-ჯერ სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე. პარკი არის სწრაფად ხარშვადი და აქვს კარგი საგემოვნო თვისებები.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 173 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: თავიანი ხახვი „საშემოდგომო“

გვარი და სახეობა: *თავიანი ხახვი* *Allium cepa L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი
ელენე მოთიაშვილი-სიჭინავა, ნატო კაკაბაძე,
გურამ ალექსიძე, გივი ჯაფარიძე,
გიორგი კირკველია

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თავიანი ხახვი (Allium cepa L.) „საშემოდგომო’’მიღებულია გამორჩევის მეთოდით. ჯიში ითესება შემოდგომით, 15-20 სექტემბრს და მოსავალს ვიღებთ მეორე წელს ივნისში, გვიან შემოდგომით, ადრე გაზაფხულზე კი გამოიყენება სამწვანილედ. სავეგეტაციო პერიოდია აღმოცენებიდან მოსავლის აღებამდე 265-270 დღე. ბოლქვი მკვრივი, ზომა მსხვილი. ფორმის ინდექსი 0,9. ბოლქვის ნასახიანობა - საშუალო, ერთბუდიანი. გარეთა მშრალი ქერქლების ფერი ყვითელი, შიგნითა წვნიანი ქერქლების ფერი თეთრი, ბოლქვის გემო ნახევრად ცხარე, ფორმა მომრგვალო-მობრტყო. ფოთოლის ფერი მუქი მწვანე, ფოთლებზე ცვილისებრი ფიფქი სუსტი, ფოთლების რაოდენობა საშუალო (10 ცალი), ფოჩის სიმაღლე 60 სმ, თავის საშუალო მასა 180 გ. ყვავილის ფერი თეთრი, ორსქესიანი. საჰექტარო მოსავალი 39,6 ტ/ჰა-ზე. მავნებლებ-დაავადებების მიმართ გამძლეა.
გამოირჩევა საუკეთესო შენახვის უნარიანობით.
საქართველოში მისი გავრცელების არეალია ზღვის დონიდან 460 მეტრი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 174 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: ნიორი „ხანდო“

გვარი და სახეობა: *ნიორი Allium sativum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
ელენე მოთიაშვილი-სიჭინავა, ნატო კაკაბაძე,
გურამ ალექსიძე, ვაჟა ჯაფარიძე, ზვიად ბრეგაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „ხანდო“ მიღებულია გამორჩევის მეთოდით, საშუალო-საგვიანოა, სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან მოსავლის აღებამდე -150–155 დღე. ვარგისია როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო დარგვისთვის, მაგრამ უმჯობესია შემოდგომით დარგვა. ჯიში ხასიათდება ძლიერი ცრუ ღეროთი.
ფოჩის სიმაღლეა 68-70 სმ., ფოთლების შეფერილობა მუქი მწვანე, რაოდენობა 10 ცალი. ბოლქვი მკვრივი, ზომა მსხვილი, ფორმის ინდექსი 0,89. გარეთა მშრალი ქერქლის ფერი თეთრი დასეგმენტებული, ოდნავ გადადის მკრთალ იისფერში, კბილის მშრალი ქერქლის შეფერვა ღია მოყავისფრო, წვნიანი ქერქლის ფერი თეთრი. კბილები მსხვილი, რაოდენობა 6,6 ცალი, ცხარე, ფორმა მომრგვალო-მობრტყო. ბოლქვის საშუალო მასა 67,7 გ. საჰექტარო მოსავალი 12-14 ტ/ჰა-ზე.
ნივრის ოთხფეხა ტკიპას და ხახვის ბუზის მიმართ შედარებით გამძლეა, ვიდრე ადგილობრივი ჯიშები.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 175 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: კარტოფილი „დიკო“

გვარი და სახეობა: *კარტოფილი* *Solanum tuberosum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
დიანა ანტონოვა, დალი წიკლაური,
გურამ ალექსიძე, ნატო კაკაბაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

კარტოფილის ჯიში „დიკო“, ბოტანიკურად ცნობილია, როგორც Solanum tuberosum L. არის საშუალოდ საგვიანო ჯიში, აქვს ყვითელი კანი. ის არის მაღალმოსავლიანი კარტოფილის ჯიში, საშუალოდ 8-9 ტუბერი თითო მცენარეზე. გამოირჩევა საშუალო ტუბერებით (60%) და ტუბერებზე ოდნავ გამოხატული თვლებით, განკუთვნილია სასურსათო წარმოებისთვის. ტუბერის ზომა 80-120 მმ, წონა - 150-220 გ. შიგთავსის მშრალი ნივთიერება 18-19%-ია, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია. ტუბერი ოვალურ-წაგრძელებულია, ძირითადად ერთგვაროვანი ფორმის, თხელ კანიანი. საკმაოდ კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია შემდეგი ვირუსული დაავადებების მიმართ: PVX, PVY, PVA, PVS. ასევე, გამძლეა სოკოვანი დაავადება ფიტოფტორას მიმართ. კარტოფილის ჯიში მაღალმოზარდია, აქვს ძლიერი ღერო და კარგი დაფარვა, თეთრი ყვავილები და კენკროვანი ნაყოფის საშუალო რაოდენობა. იგი საშუალოდ ტოლერანტულია მექანიკური დაზიანების მიმართ. გვალვაგამძლეა, კარგი ტოლერანტობა ახასიათებს შიდა დეფექტებზე, კარგად ინახება და აქვს მოსვენების მოკლე პერიოდი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 176 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: ბრინჯა ლობიო „წილკანი“

გვარი და სახეობა: *ბრინჯა ლობიო* *Phaseolus calcaratus*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
პაშა ვაჩეიშვილი, ნატო კაკაბაძე,
ლევან ტყემალაძე, მარიამ მოსაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „წილკანი“ გამორჩეულია ბოტანიკის ინსტიტუტის (ვერნიკო კანდელაკის) კოლექციიდან მასობრივი გამორჩევის გზით. მცენარე არის მაღალმოზარდი, მხვიარა ფორმა, მისი სიმაღლე 2,5 - 3 მეტრია, ფოთლები და ღერო დაფარულია წვრილი მოთეთრო ბუსუსებით. ფოთლები ფართოა გულის ფორმის, ღია მწვანე, მცენარე ხასიათდება ხშირი შეფოთვლით, ინვითარებს მსხვილ მხვიარა ღეროს და დიდ მწვანე მასას. ჯიში „წილკანი“ ტიპიური სამარცვლე ფორმაა. კარგ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში იძლევა საშუალოდ 2 ტ/ჰა თესლის მოსავალს, საგვიანოა, ყვავილი ყვითელია მსხვილი, ინვითარებს გრძელ საყვავილე ყუნწს (3-5 სმ), რომელზედაც 4-10 ყვავილი ზის, საიდანაც ვითარდება ამდენივე პარკი. პარკის სიგრძე 7-10 სმ-ია, პარკებში მარცვლის რაოდენობა 5-7 -ია, პარკის კუდის სიგრძე 0,5-0,8 მმ-ია. პარკი განვითარების პირველ პერიოდში მწვანეა, ხოლო მარცვლის სიმწიფის ფაზაში მოშავო-მოყავისფრო ფერისაა. პარკი სწორია, მარცვალი წვრილია, მოგრძოა, მუქი წითელი ფერის, თეთრი ამობურცული ჭიპით. 1000 მარცვლის მასა არის 70 გ. ჯიში „წილკანი“ გამძლე ყველა ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების მიმართ, არ ზიანდება მემარცვლიათი (ბრუხუსით).

ჯიში „წილკანი“ რეკომენდირებულია დაითესოს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ ზონებში და დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში გარდა მაღალმთიანი ზონებისა, ვინაიდან ის არის საგვიანო ჩვეულებრივ ლობიოსთან შედარებით 20-30 დღით. ჯიშის „წილკანი“ მარცვლის გამოყენება შეიძლება როგორც ჩვეულებრივი ლობიო. მარცვალი სწრაფად ხარშვადია და აქვს კარგი საგემოვნო თვისებები. ის როგორც ყველა პარკოსანი აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას. მისი გამოყენება შეიძლება როგორც სიდერატი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 177 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: მაშა ლობიო „მოსავლიანი“

გვარი და სახეობა: *მაშა ლობიო Phaseolus*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
ნატო კაკაბაძე, რავზა მავლიანოვა, ადოლი ტყეშელაშვილი,
პაშა ვაჩეიშვილი, შოთა ხონელიძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „მოსავლიანი“ სელექციური ნომრით G 6173(Б-6) მიეკუთვნება ლობიოს გვარს. ამიტომ მას ოქროს ლობიოდ მოიხსენიებენ. იგი მიღებულია 2010 წელს ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან.

ჯიში „მოსავლიანი“ მრავლდება თესლით. თესლის ფორმა კასრისებურია, ჭიპი თესლის საერთო სიბრტყეზე მდებარეობს. თესლი წვრილი, მუქი მწვანე შეფერვისაა. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 65 გრამს. ნაყოფის სიგრძე შეადგენს 5-10 სმ. პარკში თესლის რაოდენობაა 7-10 ცალი. თესლის სიგრძე 3,2-6 მმ-ია.

მცენარის სიმაღლეა 67 სმ. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ჯიშის „მოსავლიანი“ ბუჩქზე სათესლედ ირჩევა 30-35-მდე სტანდარტული პარკი, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისთვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას.

კალორიულობით 3,2-ჯერ აღემატება კარტოფილს და 5-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, სალათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა, ღერო, ფოთლები, უმწიფარი პარკები, საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის, მატულობს წველადობა. პარკების კალორიულობაა 100 გ - 50,4 კკალ. პარკებში არის ნახშირწყალი 7,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 5 გ, ორგანული მჟავიანობა 0,5 გ, წყალი 73 გ, სახამებელი 4 გ, მონო და დისახარიდები 1,2 გ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარცვალი ცილების და ამინომჟავების შემცველობით - ლიზინი 8%, არგინინი 6%.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 178 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 04 25

განაცხადის დასახელება: მაშა ლობიო „საპარკე“

გვარი და სახეობა: *მაშა ლობიო* *PH AUREUS*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
ნატო კაკაბაძე, რავზა მავლიანოვა, ვაჟა ჯაფარიძე,
ადოლი ტყეშელაშვილი, ლერი ნოზაძე

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „საპარკე“ სელექციური ნომრით VG 3960-88 მიეკუთვნება ლობიოს გვარს, ამიტომ მას მოიხსენიებენ, როგორც ოქროსფერ ლობიოს. 2010 წელს მიღებულია ტაივანიდან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. ის მრავლდება თესლით. თესლის ფორმა მოგრძო და წვრილია, მუქი მწვანე შეფერილობის. 1000 ცალი თესლის წონა შეადგენს 60 გრამს. ნაყოფი ანუ პარკი 6-8 სმ სიგრძისაა, თესლი პარკში 10-12-ცალია. თესლის სიგრძე 3-4 მმ-ია.

მცენარის სიმაღლეა 70 სმ. ღერო სწორმდგომია, წახნაგოვანი, დაფარულია ქვემოთკენ მიმართული წამწამისებრი ბეწვებით. ჯიშის „საპარკე“ ბუჩქზე ირჩევა სათესლედ 35-40-მდე სტანდარტული პარკები, საიდანაც თესლს ვიღებთ ნაყოფის სრული სიმწიფის მიღწევისას და ჯიშისთვის დამახასიათებელი ფერის მიღებისას. კალორიულობით 3-ჯერ აღემატება კარტოფილს და 4-ჯერ სიმინდს. მწვანე ფაზაში პარკები გამოიყენება სუპებში, სალათებში, გარნირად, დასაკონსერვებლად. მოსავლის აღების შემდეგ ვეგეტატიური მასა, ღერო, ფოთლები, მოუმწიფარი პარკები, საუკეთესო საკვებია ცხოველებისთვის, მატულობს წველადობა. პარკების კალორიულობაა 100 გ - 48 კკალ. პარკებში არის ნახშირწყალი 5,5 გ, ცხიმი 0,1 გ, ცილა 6 გ, ორგანული მჟავიანობა 0,4 გ, წყალი 63 გ, სახამებელი 7 გ, მონო და დისახარიდები 1 გ. მარცვალი ცილების და განსაკუთრებით ამინომჟავეების,ლიზინი 8%, არგანინი 7%, შემცველობით საყურადღებოა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 179 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ნექტარინი „მონფირი“

გვარი და სახეობა: *ნექტარინი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

რენე მონტე-კაიე (FR)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ნექტარინის ჯიში, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონფირი“. იგი მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ნექტარინის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონფირი“ ხასიათდება პროდუქტიული, დიდი ზომის ნაყოფებით და კარგი შეფერილობით, ნაყოფები კარგად ინახება ხეზე ზიგზაგისებრი განლაგებით და აქვთ შესანიშნავი გემური თვისებები.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 180 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ატამი „მონჟონი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

რენე მონტე-კაიე (FR)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონჟონი“. იგი მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონჟონი'' ხასიათდება ფართო, ენერგიული, გვიან მსხმოიარე, პროდუქტიული ხით. ნაყოფებს აქვთ წითელი შეფერილობა, ნარინჯისფერი-ყვითელი რბილობით. რბილობი ძალიან ტკბილია, ოდნავ მჟავე, კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 181 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ატამი „მონდორე“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

რენე მონტე-კაიე (FR)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონდორე“. იგი მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონდორე“ ხასიათდება ფართო, ენერგიული, პროდუქტიული და რეგულარულად მსხმოიარე ხით. ინტენსიური ყვავილობით, საუკეთესო A და AA ზომის კარგი შეფერილობის და ტკბილი გემოს ნაყოფით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 182 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ატამი „მონკავი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

რენე მონტე-კაიე (FR)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონკავი“ მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონკავი“ ხასიათდება საუკეთესო პროდუქტიულობით. ნაყოფები დიდი ზომისაა, სტანდარტული, რბილობი ტკბილია, კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 183 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ნექტარინი „ვესტერნ რედი“

გვარი და სახეობა: *ნექტარინი* *Prunus Persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი (US)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ნექტარინის ხეს, Prunus persica L. და კერძოდ, ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ვესტერნ რედი“ ხასიათდება ფართო, ენერგიული, პროდუქტიული და რეგულარულად მსხმოიარე ხით. ხილი მწიფდება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში აგვისტოს მესამე კვირაში, პირველი მოსავალი 1991წლის აგვისტოში იქნა მოწეული. ნაყოფი ზომით დიდია, შესანიშნავი ტექსტურით, ფორმით მრგვალი, კანი წითელი, კურკა ნაყოფს არ შორდება. ჯიში გამოყვანილია ჰიბრიდიზაციის მეთოდით ნექტარინის „რედ დაიმონდ“ ჯიშთან, (აშშ მცენარის პატენტი 3,165) როგორც სელექციური მშობელი და „მეი დაიმონდი“ (აშშ მცენარის პატენტი 5,454) როგორც სელექციური დამამტვერიანებელი მშობელი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 184 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ნექტარინი „მაჯესტიკ პერლი“

გვარი და სახეობა: *ნექტარინი* *Prunus Persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი (US)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ახალ და განსხვავებულ ნექტარინის ხის, Prunus persica L. ახალი ჯიში, რომელიც მოიხსენიება, როგორც „მაჯესტიქ პერლი“ ნათლად ხასიათდება დიდი ზომის, ძლიერი ხით. თვითდამტვერავი, პროდუქტიული, უხვმოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი მწიფდება და ეკოლოგიურ კონდიციას აღწევს ივლისის ბოლოს. პირველი მოსავალი აიღეს 2006 წლის ივლისში. ნაყოფი დიდი ზომისაა, მომჟავო, შიგნით ტკბილი, სფერული ფორმის, კურკა არ სცილდება რბილობს. კარგი ტექსტურა გააჩნია, რბილობი თეთრი ფერისაა, ხოლო კანი წითელი ფერის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 185 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ატამი „აივორი სტარი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი (US)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ახალ და განსხვავებულ ატმის ჯიშს, Prunus persica L., რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც „აივორი სტარი“. იგი ხასიათდება კარგი პროდუქტიული წვნიანი ვარდისფერი შეფერილობის ნაყოფით, კარგი არომატით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 186 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ატამი „ბრაპრინი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი (US)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ატმის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ბრაპრინი“. იგი ნათლად ხასიათდება, როგორც მაღალი ხე, საშუალოდ ძლიერი და ვერტიკალური. ნაყოფს აქვს საშუალო სიმწიფის დრო, წითელი კანი მოთეთრო კრემისფერი რბილობი და ტკბილი გემოთი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 187 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 10

განაცხადის დასახელება: ბალი „ბლეკ სტარი“

გვარი და სახეობა: *ბალი* *Prunus avium (L.) L.*

სელექციონერ(ებ)ი:

„ც.რ.პ.ვ. სოჩ. კოოპ.“, ალმა მატერ სტუდიორუმ-უნივერსიტა დი ბოლონია, სილვიერო სანსავინი, სტეფანო ლულიი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

განაცხადი ეხება ბალის ხეს, Prunus avium L. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „ბლეკ სტარი“. იგი ხასიათდება კარგი პროდუქტიულობით და გვიანი სიმწიფით. ამ ჯიშის ბალს აქვს მუქი ფერის დიდი ზომის ნაყოფი. რბილობი ტკბილია, წვნიანი. ნაყოფი არ არის სენსიტიური გახლეჩვისადმი და მონილიას მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 188 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: მუხუდო „ელექსირი“

გვარი და სახეობა: *მუხუდო* *Cicer arietinum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ავთანდილ კორახაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

მუხუდოს ახალი და განსხვავებული ჯიში „ელექსირი“ გამოყვანილია ინდივიდუალური შერჩევის მეთოდით ICARDA-ს კოლექციის პოპულაციებიდან და განკუთვნილია საქართველოს მშრალი ზონებისათვის. ჯიში ხასიათდება მაღალი გვალვაგამძლეობით, თანაბრად შედის სიმწიფის ფაზაში, რომელიც 230-235 დღე გრძელდება. მოსავლიანობა 2,10 ტ შეადგენს ჰექტარზე. თესლი ღია მოყვითალო-ჩალისფერია, პიგმენტაციის გარეშე; ღერო – სწორი, ზემოთ კარგად დატოტვილი. ჯიში რეზისტენტულია დაავადებების მიმართ, კერძოდ, ფესვის სიდამპლისა და ასკოხიტოზის მიმართ. მუხუდოს ეს საშემოდგომო ჯიში ინტენსიურად იზრდება გაზაფხულის გვალვიან პირობებშიც, ექვემდებარება პირდაპირ კომბაინირებას. წარმოადგენს კარგ წინამორბედს საშემოდგომო თავთავიანებისა და მზესუმზირისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტენით ნაკლებად უზრუნველოფილ, არაირიგაციულ ზონებში, როგორებიცაა: მცხეთის, გარდაბნის, საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები. მარცვალს ახასიათებს კარგი კვებითი ღირებულება და კონსისტენცია, რაც მას აძლევს კარგ შანსს საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტირებისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 189 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: მუხუდო „ზედაზენი“

გვარი და სახეობა: *მუხუდო Cicer arietinum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ავთანდილ კორახაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

მუხუდოს ახალი და განსხვავებული ჯიში „ზედაზენი“ გამოყვანილია ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით ICARDA-ს კოლექციის პოპულაციებიდან და იდენტიფიცირებულია საქართველოს მშრალი ზონისთვის. მცენარედ გაფარჩხულია, ხასიათდება ძლიერი ბუჩქით, სხვა ჯიშებთან შედარებით ახასიათებს დიდი ზომის მარცვლები,სიმწიფის პერიოდი 240-245 დღეა. თესლი ღია ჩალისფერი-მოყავისფროა, პიგმენტაციის გარეშე. მოსავლიანობა 2,27 ტონაა ჰექტარზე. მუხუდოს ეს ჯიში შეიძლება შეტანილ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს თავთავიანების თესლბრუნვაში, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი კულტურა. მისი მოყვანა შეიძლება ისეთ ზონებშიც, სადაც არსებობს გაზაფხულის გვალვების დიდი შესაძლებლობა. ასეთი რაიონებია: მცხეთა, გარდაბანი, საგარეჯო, სიღნაღი, ახმეტა, დედოფლისწყარო. ჯიში რეზისტენტულია დაავადებების მიმართ, კერძოდ, ფესვის სიდამპლისა და ასკოხიტოზის მიმართ. მარცვალს ახასიათებს კარგი კვებითი ღირებულება და კონსისტენცია, რაც მას აძლევს კარგ შანსს საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტირებისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 190 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: ოსპი „შირაქი“

გვარი და სახეობა: *ოსპი* *Lens culinaris M.*

სელექციონერ(ებ)ი:

ავთანდილ კორახაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ოსპის ჯიში „შირაქი“ გამოყვანილია ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონისათვის, ქართლის და კახეთის ურწყავი ზონისათვის. საშემოდგომო კულტურაა. ძლიერი, სწორმდგომი ჩაწოლისადმი მდგრადი ჯიშია. მარცვლები მრგვალი, სრულ სიმწიფეში შედის 233-240 დღეში; მოსავლიანობა საშუალოს 1,63 ტ/ჰა. წარმოადგენს კარგ კულტურას ნებისმიერი თესლბრუნვისათვის წინამორბედის სახით ქართლისა და კახეთის ზონაში. კარგი რეზისტენტობით გამოირჩევა ფესვის სიდამპლისა და ბიოტური და აბიოტური სტრესების მიმართ. გასავრცელებლად დასაშვებია აღმოსავლეთ საქართველოს ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტებისათვის. მარცვლის ხარისხის მაღალი მაჩვენებლების გამო, აქვს ექსპორტის დიდი შესაძლებლობა და პერსპექტივები საერთაშორისო ბაზრებისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 191 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: ნექტარინი „სპრინგ ბრაითი“

გვარი და სახეობა: *ნექტარინი* *Prunus Persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი (US)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ნექტარინის ხეს, Prunus persica (L.) Batsch და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „სპრინგ ბრაითი“. ჯიში ხასიათდება დიდი ზომის, ენერგიული, პროდუქტიული, რეგულარულად მსხმოიარე ხით. ნაყოფი ეკოლოგიურ კონდიციას აღწევს ივნისის ბოლოს. პირველი მოსავალი მიიღეს 1989 წლის 21 ივნისს. ხილი საშუალო ზომისაა, კარგი გემოსი, ფორმით მომრგვალო, კურკიანი, კანი მუქი წითელი ფერის. ოდნავ მომჟავო და ძალიან ტკბილი ტექსტურით. საუკეთესო ხარისხი აქვს შენახვისას და ტრანსპორტირებისას. ჯიში გამოვლინდა, როგორც ჰიბრიდული თაობა სელექციური მშობლისა „მეი დაიმონდ“ (აშშ მცენარის პატენტი 5,454) და უსახელო ნექტარინის ნერგი, როგორც სელექციური დამამტვერიანებელი მშობელი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 192 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: ნექტარინი „სეპტემბერ ბრაითი“

გვარი და სახეობა: *ნექტარინი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ლოუელ გლენ ბრედფორდი (US

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ნექტარინის ხეს, Prunus persica L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „სეპტემბერ ბრაითი''. იგი ხასიათდება ფართო, ენერგიული თვითდამამტვერიანებელი, რეგულარულად მსხმოიარე ხით. ნაყოფი ეკოლოგიურ კონდიციას აღწევს სექტემბრის პირველ კვირას.
პირველი მოსავალი მიიღეს 2001 წლის 1 სექტემბერს. ხილი საშუალო ზომის, კარგი გემოსი, ფორმით მომრგვალოა. რბილობს კურკა არ შორდება, რბილობი ყვითელი ფერისაა, კანი წითელი ფერის. ჯიში გამოვლინდა შეჯვარებით, როგორც ყვითელ რბილობიანი ნექტარინის პირველი თაობა (სელექციური მშობელი) „აუგუსტ რედი“ (აშშ მცენარის პატენტი 6363) და უსახელო ნექტარინის, როგორც სელექციური დამამტვერიანებელი მშობელი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 193 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: მსხალი „HW 620 - ჰაროუ ბაუნტი“

გვარი და სახეობა: *მსხალი* *Pyrus communis L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
დეივიდ ჰანტერი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება მსხლის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „HW 620 - ჰაროუ ბაუნტი“. იგი ნათლად ხასიათდება, როგორც აგრონომიულად მაღალი ხარისხის ჯიში, რომელსაც გააჩნია დიდი ზომის ნაყოფი. საგვიანო მსხლის ჯიშია და ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით. აქვს ღია მწვანე ფერის კანი. რბილობი შიგნით მოკრემისფრო თეთრია, კარგი ტექსტურით. არომატი კარგი აქვს, ძალიან წვნიანია. ამ ჯიშის მსხლებს ახასიათებს რეზისტენტობა დაავადებების მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 194 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: მსხალი „ეი სი ჰაროუ კრისპი“

გვარი და სახეობა: *მსხალი* *Pyrus communis L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
დეივიდ ჰანტერი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება მსხლის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ეი სი ჰაროუ კრისპი“, ნათლად ხასიათდება, როგორც საინტერესო ჯიში, სასიამოვნო და დიდი ზომის ნაყოფით. აქვს შესანიშნავი რეზისტენტობა დაავადებების მიმართ, კერძოდ (ევინია ამილოვარას) მიმართ. საშუალო სეზონის მსხალია, კრიალა სუფთა კანით, მოყვითალო მწვანე ღია მოვარდისფრო წითელით. ნაყოფს აქვს პატარა მოყავისფრო ლაქები. მოკრემისფრო-თეთრი რბილობი ხრაშუნობს და აქვს კარგი ტექსტურა, უფქვილოა, ტკბილია და გააჩნია კარგი არომატი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 195 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: მსხალი „ეი სი ჰაროუ დელიშესი“

გვარი და სახეობა: *მსხალი* *Pyrus communis L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
დეივიდ ჰანტერი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება მსხლის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ეი სი ჰაროუ დელიშესი“, ნათლად ხასიათდება, როგორც მაღალი ხარისხის ადრეული სიმწიფის მსხალი. იგი სეზონს იწყებს მაღალი ხარისხის ნაყოფით. ზომა არის 60-70 მმ, წაგრძელებული ფორმის მომწვანო ყვითელში გადასული ფერის კანით, რომელსაც სიმწიფეში ვარდისფერი დაკრავს. მოკრემისფრო რბილობი არომატულია, კარგი ტექსტურით და საუკეთესო ბალანსი გააჩნია მოტკბო მომჟავო გემური მახასიათებლებისა. ტოლერანტულია დაავადებების მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 196 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: მსხალი „ეი სი ჰაროუ გოლდი“

გვარი და სახეობა: *მსხალი* *Pyrus communis L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
დეივიდ ჰანტერი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება მსხლის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ეი სი ჰაროუ გოლდი“, ნათლად ხასიათდება, როგორც მაღალი ხარისხის ადრეული სიმწიფის მსხალი. მას გააჩნია ყვითელი ფერის ნაყოფი, დიდი ზომის, თხელი კანით, კარგი ტექსტურით. საუკეთესო ბალანსი გააჩნია მოტკბო მომჟავო გემური მახასიათებლებისა. წვნიანია. საუკეთესო გამძლეობა გააჩნია დაავადებების მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 197 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 05 25

განაცხადის დასახელება: ვაშლი „სმერალდა“

გვარი და სახეობა: *ვაშლი* *MALUS DOMESTICA*

სელექციონერ(ებ)ი:

კ.ი.ვ. - კონსორციო იტალიანო ვივაისტი – სოსიეტა კონსორტილე ა რ.ლ. (IT),
მიქელანჯელო ლეისი (IT), ალესიო მარტინელი (IT),
ფრანჩესკო ტაგლიანი (IT), ჯანფრანკო კასტანიოლი (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ვაშლის ახალი ჯიში „სმერალდა“ გამოყვანილია შეჯვარებით, რომელიც შესრულდა გეგმიური კონტროლირებული პროგრამის მიხედვით ს. ჯუზეპე დი კომაჩიოში (ფერარა), იტალია. შეჯვარება მოხდა 1997 წელს. მდედრი მშობელი წარმოადგენს დაუპატენტებელ C.I.V ჯიშს „DA-85“ სახელწოდებით. მამრი მშობელი წარმოადგენს დაუპატენტებელ C.I.V ჯიშს „B9-5“ სახელწოდებით. ახალი ჯიში „სმერალდა“ გამოვლენილი და გამოყვანილი იქნა 2005 წლის სექტემბერში გამომგონებლების მიერ ყვავილოვანი მცენარის სახით ს. ჯუზეპე დი კომაჩიოში (ფერარა), იტალია, კონტროლირებად გარემოში ჩატარებული შეჯვარებების შთამომავლობაში.
ვაშლის ახალი ჯიშის უსქესო გამრავლება ბუტონიზაციის და მყნობის გზით პირველად ჩატარებულ იქნა 2005 წლის სექტემბერში და შემდგომ წლებში ს. ჯუზეპე დი კომაჩიოში (ფერარა), იტალია, რამაც გამოავლინა ის, რომ აქ აღწერილი მახასიათებლები ვაშლის ახალი ჯიშისათვის მყარად ფიქსირდება და ნარჩუნდება უსქესო გამრავლების შემდგომ თაობებში 2005 წლიდან 2010 წლამდე. ეს ახალი ჯიში მრავლდება ტიპიური გზით.

გამოსახულება:

Smeralda





სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 198 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: საშემოდგომო ხორბალი „ალაზნის ველი“

გვარი და სახეობა: *საშემოდგომო ხორბალი Triticum durum*

სელექციონერ(ებ)ი:

ნინო ჯიბღაშვილი, მედეა სარაჯიშვილი,
ჟიული მახაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

„ალაზნის ველი“ საშემოდგომო მაგარი ხორბლის ჯიშია. მცენარე არის მაღალი (100-120სმ), ჩაწოლისადმი მდგრადი, საშუალოზე მეტად ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე. სტანდარტ ჯიშებთან შედარებით საადრეოა 6-10 დღით. კარგად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისათვის. არ ავადდება ფოთლოვანი დაავადებებით (ჟანგას სახეობები, სეპტორიოზი, ნაცარი). ჯიშის თავთავი თეთრია, ფხიანი, თითისტარისებრი, სიგრძით 12-15 სმ. ერთ თავთავში 70-80 მარცვალია. „ალაზნის ველი“ მაღალმოსავლიანი ჯიშია. 3-წლიანი შესწავლის პერიოდში საკონკურსო ჯიშთა გამოცდისას ჯიშის მოსავლიანობამ 1 ჰექტარზე შეადგინა 65-70 ცენტნერი. 1000 მარცვლის წონა 49 გრამია, ჯიში „ალაზნის ველი“ განკუთვნილია საქართველოში ხორბლის მთესველი ყველა რეგიონისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 199 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: ტრიტიკალე „გორდა 16“

გვარი და სახეობა: *ტრიტიკალე - ×Triticosecale spp.*

სელექციონერ(ებ)ი:

შ.პ.ს. „ფირმა ლომთაგორა“
კახა ლაშხი, ირაკლი რეხვიაშვილი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, ცოტნე სამადაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში სამარცვლე-საკვები მიმართულებისაა. მცენარის სიმაღლეა 115-130 სმ, ხასიათდება ძლიერი შეფოთვლით. თავთავი თეთრი, ფხიანი, ოდნავ შებუსული, სიგრძით 13-14 სმ. ინვითარებს 30-36 თავთუნს. მარცვალი წითელი, ნახევრად რქისებური კონსისტენციის, ამოვსებული, წაგრძელებული. თავთავში მარცვლების რაოდენობა 60-65 ცალი. ერთი თავთავის მარცვლის მასა 3.2-3.8 გრამი, 1000 მარცვლის მასა 60-65 გრამი. მარცვლის პოტენციალური მოსავლიანობა 6.5-7.5 ტ/ჰა, მწვანე მასის 55.0-60.0 ტ/ ჰა-ზე.
მწვანე მასის მისაღებად ითესება სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის პირველ დეკადაში. სათესი ნორმა 5.0-5,5 მლ/ჰა-ზე აღმოცენების უნარის თესლი. მწვანე მასის აღება ხდება დათავთავების ფაზაში. საუკეთესო შუალედური კულტურაა ერთსა და იმავე ნაკვეთიდან ორი მოსავლის მისაღებად (სიმინდი).

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 200 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: ხორბალი „ლომთაგორა 143“

გვარი და სახეობა: *რბილი ხორბალი* *Triticum aestivum L.*

სელექციონერ(ებ)ი:

შ.პ.ს. „ფირმა ლომთაგორა"
მარნეულის რაიონი, ლომთაგორას დასახლება
კახა ლაშხი, ირაკლი რეხვიაშვილი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, ქეთინო ნაცარიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში მიეკუთვნება რბილი ხორბლის სახეობას (Triticum aestivum L.) და წითელმარცვლიან უფხო ფორმის სახესხვაობას - var. lutescens (Alef.).
ჯიში „ლომთაგორა 143“ ხასიათდება აღმოცენების დიდი უნარით, ძლიერი ფესვთა სისტემითა და საკმაოდ მაღალი ბარტყობით. კარგად განვითარებული პროდუქტიული თავთავების რაოდენობა 1მ^2-ზე 570-580-ის ფარგლებში ცვალებადობს, რომლებიც მცენარის ერთ სიმაღლეზეა განლაგებული.
მცენარის მაქსიმალური სიმაღლეა 100 სმ, გამძლეა ჩაწოლისადმი, ადვილად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისათვის. თავთავი ჩალისფერი, 10 სმ სიგრძის, კარგად განვითარებული 20 თავთუნით, თავთავში 65-70 მარცვალია, წითელი, რქისებრი კონსისტენციის. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 45 გრამს.
მცენარე საშუალოდ გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.
ჯიში „ლომთაგორა 143“-ის მოსავლიანობა საშუალო აგროფონის პირობებში შეადგენს 6,5 ტ/ჰა-ზე.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 201 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: შვრია „არგო“

გვარი და სახეობა: *შვრია* *Avena sativa L.*

სელექციონერ(ებ)ი:

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
ლევან უჯმაჯურიძე, ცოტნე სამადაშვილი,
გულნარი ჩხუტიაშვილი, ნუგზარ ბენდიანიშვილი,
ლევან შადაშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე შეადგენს 85-97 დღეს. მცენარის ღერო მსხვილი, სწორმდგომი, ჩაწოლისადმი მდგრადი, სიმაღლით 100-115 სმ. ფოთოლი სწორმდგომი, საშუალო სიგანის, სუსტად შებუსული. საგველა ვერტიკალურად მდგომი, ნახევრად გაშლილი, ჩალისფერი, სიგრძით 18–23 სმ. თავთუნი დახრილი, 2-3 ყვავილედიანი. აქვს მოკლე ფხა, რომელიც სრული სიმწიფის ფაზაში ილეწება. მარცვალი კილიანი, მსხვილი, ღია ჩალისფერი, 1000 მარცვლის მასაა 35–38 გრამი, ხოლო ნატურა 450-510 გ/ლ.
ინტენსიური ტიპის ჯიშია, საშუალო მოსავლიანობით 3,5-4,5 ტ/ჰა. გამძლეა ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებების მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 202 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: მსხალი „ჰაროვინ სანდაუნი“

გვარი და სახეობა: *მსხალი* *Pyrus communis L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
დეივიდ ჰანტერი (CA), ჩარლზ ჯ. ემბრი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება მსხლის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ჰაროვინ სანდაუნი“. იგი ნათლად ხასიათდება, როგორც აგრონომიულად მაღალი ხარისხის ჯიში, რომელსაც გააჩნია დიდი ზომი ნაყოფი. საგვიანო მსხლის ჯიშია და ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით. დიდი ზომის ხილი მოყვითალო-მომწვანო ფერისაა მოვარდისფრო ელფერით. რბილობი შიგნით მოკრემისფრო თეთრია, კარგი ტექსტურით. არომატი კარგი აქვს, და კანის ლაბიანობა, რომელიც აკუმულირდება 3-4 კვირის განმავლობაში. ამ ჯიშის მსხლები ძალიან კარგია 3-4 თვის მანძილზე. ჯიშს ახასიათებს რეზისტენტობა დაავადებების მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 203 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: გარგარი „ჰარვალი“

გვარი და სახეობა: *გარგარი* *Prunus armeniaca L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
რიჩარდ ლეინი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება გარგარის ხეს, Prunus armeniaca L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ჰარვალი“. იგი ხასიათდება როგორც პროდუქტიული, საგვიანო ჯიში. მას აქვს დიდი ზომის ნაყოფი, ნარინჯისფერ-მოვარდისფრო ელფერით. ნარინჯისფერი ნაყოფი ტკბილია, წვნიანი, კარგი გემოთი გამოირჩევა, საუკეთესო ხარისხისაა და სიმჟავე და სიტკბო დაბალანსებულია.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 204 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: მსხალი „HW 623“

გვარი და სახეობა: *მსხალი* *Pyrus communis L.*

სელექციონერ(ებ)ი:

ეგრიკალჩე ენდ ეგრი-ფუდ კანადა (CA),
დეივიდ ჰანტერი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება მსხლის ხეს, Pyrus communis L. და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „HW 623“. იგი ხასიათდება საუკეთესო პროდუქტიულობით და ხეხილის ნერგით. ხილი საშუალო ზომისაა, მოკრემისფრო-თეთრი რბილობი პირში დნება, წვნიანია. გამოირჩევა საუკეთესო გემოთი, არ აქვს ლაქები. ჯიშს გააჩნია მაღალი ტოლერანტობა დაავადებების მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 205 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: ბალი „პანარო 1“

გვარი და სახეობა: *ბალი* *Prunus avium (L.)*

სელექციონერ(ებ)ი:

„ც. რ. პ. ვ. სოჩ. კოოპ.“ (IT),
ალმა მატერ სტუდიორუმ-უნივერსიტა დი ბოლონია (IT),
სილვიერო სანსავინი (IT), სტეფანო ლულიი (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ბალის ხეს, Prunus avium L. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „პანარო 1“. იგი ხასითდება ადრეული სიმწიფით და დიდი ზომის ნაყოფებით. ნაყოფს თხელი წითელი კანი აქვს, მუქი წითელი ზემოდან. რბილობი კარგი აქვს, ტკბილი და უმნიშვნელოდ მწკლარტი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 206 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: ბალი „პანარო 2“

გვარი და სახეობა: *ბალი* *Prunus avium (L.)*

სელექციონერ(ებ)ი:

„ც. რ. პ. ვ. სოჩ. კოოპ.“ (IT),
ალმა მატერ სტუდიორუმ-უნივერსიტა დი ბოლონია (IT),
სილვიერო სანსავინი (IT), სტეფანო ლულიი (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ბალის ხეს, Prunus avium L. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „პანარო 2“. იგი ხასითდება ადრეული სიმწიფით და დიდი ზომის ნაყოფებით. ნაყოფს თხელი წითელი კანი აქვს, მუქი წითელი ზემოდან. რბილობი კარგი აქვს, ტკბილი და უმნიშვნელოდ მწკლარტი.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 207 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 06 12

განაცხადის დასახელება: ბალი „გრეის სტარი“

გვარი და სახეობა: *ბალი* *Prunus avium (L.) L.*

სელექციონერ(ებ)ი:

„ც. რ. პ. ვ. სოჩ. კოოპ.“ (IT),
ალმა მატერ სტუდიორუმ-უნივერსიტა დი ბოლონია (IT),
სილვიერო სანსავინი (IT), სტეფანო ლულიი (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ბალის ხეს, Prunus avium L. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „გრეის სტარი“. იგი ხასიათდება კარგი პროდუქტიულობით და ადრეული სიმწიფით. ამ ჯიშის ბალს აქვს ღია წითელი ფერის დიდი ზომის ნაყოფი (26-30 მმ). რბილობი კარგი გემური თვისებებით ხასიათდება, ტკბილია. კარგი ტოლერანტობით გამოირჩევა გახლეჩვის მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 208 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: სიმინდი „სახამებლიანი შავი“

გვარი და სახეობა: *სიმინდი* *Zea Mays amylaceae*

სელექციონერ(ებ)ი:

ოთარ ლიპარტელიანი, ფილარეტ ბეგოიძე,
ლია ქირიკაშვილი, იოსებ სარჯველაძე,
მანანა ირიაული

ძცეხარის ახალი ჯიშის ძოკლე აღწერილობა:

ჯიში „სახამებლიანი შავი“ გამოყვანილია სპონტანური მუტაციის ზემოქმედებით მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდის „ქართული 9“ თესლიდან, მარცვლების გამორჩევით, წლების განმავლობაში საკონტროლო, წინასწარი და საკონკურსო გამოცდებში სამეურნეო, მორფო-ბოტანიკური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ნიშან-თვისებების მიხედვით, აგრეთვე, გამოცდისა და შესწავლის შედეგად. მცენარე ძლიერი, ნარინჯისფერი, სახესხვაობა სახამებლიანი z.m. amylaceae, ენდოსპერმი ფქვილისებრი. მარცვალი შავი, დაკბილვა არ ემჩნევა. მარცვლის სიგრძე 12 მმ, სიგანე 7 მმ. სისქე 2 მმ. 1000 მარცვლის მასა 320 გრამი, შეიცავს სახამებელს 22 გრ, ცილას 10,99 %-ს, ცხიმს 5,64 %-ს. ამ მხრივ ის უკეთესია, ვიდრე „აჯამეთის თეთრი“, „ქართული კრუგი“ და „აბაშური ყვითელი“. მარცვლის გამოსავალი ტაროდან 84%, ნაქუჩის თეთრი, მარცვლის რიგების რიცხვი 14, მცენარის სიმაღლე 220 სმ, ფოთლების რიცხვი 14, მუხლების რიცხვი 12. ჯიში რეკომენდებულია სამრეწველო მიმართულებით სახამებლის, სპირტის მისაღებად და მესაქონლეობისათვის სიმინდის მწარმოებელი ყველა ზონისათვის.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 209 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ატამი „მონმილი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica L. Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

რენე მონტე-კაიე (FR)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Prunus persica L. Batsch, მოიხსენიება, როგორც „მონმილი“, მიღებულია ჯვარედინი შეჯვარებით, რომელიც კონტროლდება სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთის შეჯვარების პროგრამით. ახალი და განსხვავებული ატმის ჯიში, Prunus persica L. Batsch, სახელად „მონმილი“ ხასიათდება ენერგიული, გვიან მსხმოიარე, პროდუქტიული ხით. ნაყოფები ძალზე მიმზიდველია, ერთნაირია სიმწიფის დასაწყისიდან დასასრულამდე. რბილობი ტკბილია, კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 210 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ვაშლი „რედაფოუ“

გვარი და სახეობა: *ვაშლი* *Malus domestica Borkh*

სელექციონერ(ებ)ი:

სტარ ფრუტ დიფუზიონ სას (FR), კარლო ფიდჯერელი (IT),
ჯულიო დელა სტრადა (IT), მეინაულ ფრერეს გაეკ (ფერმერთა კოლექტივი) (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ვაშლის ხეს, Malus domestica Borkh. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „რედაფოუ“. იგი ხასიათდება ოქროს ყვავილობის სეზონით, მრგვალი, ერთნაირი, კარგი ფორმის წითელი ნაყოფით. პროდუქტიულია, წვნიანია და 3/4 ხრაშუნაა. რბილობი კარგი გემური თვისებებით ხასიათდება, ტკბილია. სიმჟავეზე ტესტი ტკბილი აქვს.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 211 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ატამი „რომ სტარი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunes Persica Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

სტარ ფრუტ დიფუზიონ სას (FR), კარლო ფიდჯერელი (IT),
ჯულიო დელა სტრადა (IT), მეინაულ ფრერეს გაეკ (ფერმერთა კოლექტივი) (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარდგენილი განაცხადი ეხება ატმის ხეს, ბოტანიკურად ცნობილს, როგორც Prunus persica Batsch, და კერძოდ ახალ და განსხვავებულ ატმის ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „რომ სტარი“. იგი ხასიათდება ძლიერი, ნახევრად-ვერტიკალურად აღმართული, მსხმოიარე ხით და კარგი პროდუქტიული პოტენციალით. გამოირჩევა დიდი ზომის ნაყოფებით, სასიამოვნო, კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 212 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ატამი „მედიტე“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunes Persica Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

სტარ ფრუტ დიფუზიონ სას (FR), კარლო ფიდჯერელი (IT),
ჯულიო დელა სტრადა (IT), მეინაულ ფრერეს გაეკ (ფერმერთა კოლექტივი) (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარდგენილი განაცხადი ეხება ატმის ხეს ბოტანიკურად ცნობილს, როგორც Prunus persica Batsch, და კერძოდ, ახალ და განსხვავებულ ატმის ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „მედიტე“. იგი ხასიათდება ძლიერი, ნახევრად-ვერტიკალურად აღმართული, მსხმოიარე ხით. დიდი ზომის ნაყოფებით მოკრემისფრო-ყვითელი კანით, სასიამოვნო, უკურკო თეთრი ფერის რბილობით. ენერგიული, გვიანმსხმოიარე, პროდუქტიული ხით. რბილობი ტკბილია, კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 213 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ქლიავი „ენ გოლდი“

გვარი და სახეობა: *ქლიავი* *Plunus salicina Lindl*

სელექციონერ(ებ)ი:

მონტანარი დომენიკო (IT)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარდგენილი განაცხადი ეხება ქლიავის ხეს, ბოტანიკურად ცნობილს, როგორც Prunus salicina Lind L, და კერძოდ, ახალ და განსხვავებულ ქლიავის ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ენ გოლდი“. იგი ხასიათდება ძლიერი ნაყოფებით, კორდის ფორმის ფოთლებით და ცოტა ასიმეტრიული, მოყვითალო-მწვანე ფერის კანით. დიდი ზომის მოყვითალო-მწვანე ფერის ნაყოფები სასიამოვნო, პროდუქტიული, მაღალი ხარისხით და კარგი გემური თვისებებით ხასიათდება. და ბოლოს, რეზისტენტულია სხვადასხვა მანიპულაციებისა და კონსერვაციის მიმართ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 214 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ქლიავი „ველერი“

გვარი და სახეობა: *ქლიავი* *Prunus domestica (L).*

სელექციონერ(ებ)ი:

იუნივერსიტი ოფ გველფ (CA),
ჰასემ ტეხრანი (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარდგენილი განაცხადი ეხება ქლიავის ხეს, ბოტანიკურად ცნობილს, როგორც Prunus domestica L., კერძოდ ახალ და განსხვავებულ ქლიავის ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ველერი“. იგი ხასიათდება ძლიერი ნაყოფებით, კარგი პროდუქტიულობით და ადრეული სიმწიფით. ეს ჯიში ნახევრად უკურკოა. ნაყოფი იასამნისფერ-ლურჯი ფერისაა. მას აქვს ყვითელი ფერი და კარგი გემო.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 215 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ქლიავი „ვენეტი“

გვარი და სახეობა: *ქლიავი* *Prunus domestica (L).*

სელექციონერ(ებ)ი:

იუნივერსიტი ოფ გველფ (CA),
ეგრიკალჩურალ რისერჩ ინსტიტუტ ოფ ენტერიო (CA)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარდგენილი განაცხადი ეხება ქლიავის ხეს, ბოტანიკურად ცნობილს, როგორც Prunus domestica (L), და კერძოდ, ახალ და განსხვავებულ ქლიავის ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „ვენეტი“. იგი ხასიათდება ძლიერი, კარგი პროდუქტიული ნაყოფებით, რომელიც უკურკოა, დიდი ზომისაა, ოვალური ფორმისაა და მუქი ლურჯი შეფერილობა აქვს. მისი რბილობი ნარინჯისფერია, მაღალი ხარისხის, მწკლარტია და კარგი გემური თვისებებით ხასიათდება.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 216 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 10

განაცხადის დასახელება: ვაშლი „ტოპაზი“

გვარი და სახეობა: *ვაშლი* *Malus domestica*

სელექციონერ(ებ)ი:

ინსტიტუტე ოფ ექსპერიმენტალ ბოტანი ას ჩრ (CZ)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ვაშლის ხეს, Malus domestica და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „ტოპაზი“. იგი ხასითდება კარგი პროდუქტიულობით და დაავადებისადმი რეზისტენტობით. აქვს წითელი ფერის, დიდი ზომის, ცილინდრული ფორმის ნაყოფები. რბილობი არომატულია, ხრაშუნა. იგი ტკბილია და უმნიშვნელოდ მწკლარტი. რეკომენდებულია გასხვლა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 217 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 25

განაცხადის დასახელება: ატამი „სამერ ლედი“

გვარი და სახეობა: *ატამი* *Prunus persica (L.) Batsch*

სელექციონერ(ებ)ი:

ზე ბურჩელ ნოსერი, ინკ. (US), ჰიდეო პ. იამაშირო (US)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ატმის ხეს, ბოტანიკურად ცნობილს, როგორც Prunus persica L. Batsch და კერძოდ, ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „სამერ ლედი“. იგი ხასიათდება მსგავსებით ატმის ჯიშთან „ო’ჰენრი“ (აშშ მცენარის პატენტი 2,964). ახალი ჯიში „სამერ ლედი“ წარმოადგენს მუტაციას ატმის ხის ჯიშისა „ო’ჰენრი“. არის ახალი და ნაყოფი დამწიფებას იწყებს 10 დღით ადრე. ხილი საშუალო ზომის, ოვალური ფორმის, კარგი გემოსი, 90% წითლად არის შეღებილი, ზოგჯერ 100%-იც, მაგრამ სიმწიფეშიც კი არასდროს არ არის ჯიშზე „ო’ჰენრი“ მუქი ფერის. ამ მახასიათებლებს, რომელთა საწყისი ფერი მწვანეა შეუძლია მოგვცეს ახალი და ერთგვაროვანი წითელკანიანი ატმის ჯიში. მას აქვს შესანიშნავი შესახედაობა და საუცხოო გემური თვისებები.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 218 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 25

განაცხადის დასახელება: ვაშლი „კრიპს პინკ“

გვარი და სახეობა: *ვაშლი Apple Tree Malus domestica Borkh.*

სელექციონერ(ებ)ი:

უესტერნ ავსტრალია ეგრიკალჩი აუტორიტი (AU),
ჯონ კრისპი (AU)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ვაშლის ხეს, Malus domestica Borkh. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „კრიპს პინკ“. იგი ხასიათდება სიძლიერით და კარგი პროდუქტიულობით. ნაყოფს აქვს ელიფსური ფორმა, მოვარდისფრო-წითელი შეფერილობა მოყვითალო კრემისფერზე, რაც განასხვავებს სხვა ჯიშებისაგან. რბილობი მაგარია, წვნიანი, კარგი ტექსტურის. რბილობი არომატულია, საუკეთესო გემური თვისებებით ხრაშუნა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 219 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 25

განაცხადის დასახელება: ვაშლი „კრიპს რედ“

გვარი და სახეობა: *ვაშლი Apple tree Malus domestica Borkh.*

სელექციონერ(ებ)ი:

უესტერნ ავსტრალია ეგრიკალჩი აუტორიტი (AU),
ჯონ კრისპი (AU)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ვაშლის ხეს, Malus domestica Borkh. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „კრიპს რედ“. იგი ხასითდება კარგი პროდუქტიულობით და დაავადებისადმი რეზისტენტობით. აქვს ჰომოგენური, საშუალო ზომის მაღალი ხარისხის ნაყოფები. რბილობი არომატულია, ხრაშუნა, წვენი ტკბილია.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია მალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 220 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 25

განაცხადის დასახელება: ვაშლი „როზი გლოუ“

გვარი და სახეობა: *ვაშლი Apple tree Malus domestica Borkh.*

სელექციონერ(ებ)ი:

ფლემინგს ნორსერი & ესოსიეტს პტი ლ.ტ.დ. (AU),
ჰარლეი სისელ მეისონი (AU), აშლი გრემ მეისონი (AU)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ვაშლის ხეს, Malus domestica Borkh. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „როზი გლოუ“. იგი ხასიათდება სიძლიერით და კარგი პროდუქტიულობით. ნაყოფს აქვს მკვეთრი შეფერილობა და მოიცავს ხის ნაწილებს და არ შეესაბამება კარგ წითელ ფერს. ნაყოფის საადრეო წითელი შეფერილობა ოპტიმალურს აღწევს, როცა დამწიფებული ხანგრძლივად ინახება.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 221 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 07 25

განაცხადის დასახელება: ვაშლი „სექზა“

გვარი და სახეობა: *ვაშლი* *Apple tree Malus domestica Borkh.*

სელექციონერ(ებ)ი:

სენგალო რეატი ლ.ტ.დ. (NZ), რობერ ბაზილ მეულეი (NZ),
ეილეინ ფლორენს მეულეი (NZ)

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

წარმოდგენილი განაცხადი ეხება ვაშლის ხეს, Malus domestica Borkh. და უფრო დაწვრილებით ახალ და განსხვავებულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „სექზა“. იგი ხასიათდება კარგი პროდუქტიულობით და მიმზიდველი წითელი ფერის ნაყოფებით. ამ ჯიშის მაღალი ხარისხის ნაყოფები უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე „კრიპს პინკ“-ი. რბილობი არომატულია, ხრაშუნა, კარგი გემური თვისებებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 222 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 08 10

განაცხადის დასახელება: თუთის ჯიში „ათინათი”

გვარი და სახეობა: *თუთა Morus alba Lin*

სელექციონერ(ებ)ი:

თინა დალალიშვილი, ზაზა ჭიტაძე,
თამუნა რევაზიშვილი, ნათია გამხოშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის ჯიში „ათინათი“ მიღებულია რადიომუტანტური ფორმა N608-ის კვირტის მყნობით ტრიპლოიდ 13-ის საძირეზე მისი მიზანმიმართული აღზრდითა და მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევით.

ჯიში მამრობითია, კომპაქტური ვარჯით, ტოტი სწორმდგომია, მოწითალო ყავისფერი კანის უმნიშნელო დაწინწკლით, მსხვილი, ძლიერი, ინტენსიური ზრდით, მოკლე მუხლთშორისებით.

ფოთოლი მთლიანფირფიტიანია, საშუალო ზომის, მსხვილი ყუნწით. ტოტზე ყუნწის მიმაგრების კუთხე 45-50 გრადუსია. კვირტი საშუალო ზომისაა, ამობურცული, გამორჩეულია ფოთლის კონსისტენციით და პროდუქტიულობით. ის ფოთლის სიხუჭუჭის მიმართ გამძლეა, ხასიათდება მაღალი მოსავლითა და კვებითი ღირსებით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 223 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 08 10

განაცხადის დასახელება: თუთის ჯიში „ლილე”

გვარი და სახეობა: *თუთა Morus alba Lin*

სელექციონერ(ებ)ი:

თინა დალალიშვილი, ზაზა ჭიტაძე,
თამუნა რევაზიშვილი, ლია მძელური

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

თუთის ახალი ჯიში „ლილე‘‘ გამოყვანილია ფიზიკური მუტაგენეზის გზით ჯიში „ოშიმას‘‘ ნაზამთრი კვირტის დასხივებით Gs137-ის გამა სხივებით. ის ერთბინიანია, დომინირებს მამრობითი სქესის ყვავილედები. ვარჯი გადაშლილია, ერთწლიანი ტოტი მონაცრისფროა, მურა ფერის მსხვილი დაწინწკლით, ტოტი ოდნავ მოხრილია, ზევით მიმართული, ტოტზე ჭარბობენ მზარდი ყლორტები, ყლორტი ინტენსიურად შეფოთლილი. ფოთოლი დანაკვთულია, მუქი მწვანე შეფერვით, ზომა: 28,3x18,3 სმ., ყუნწი ზომიერი სიგრძის, წვრილი, სუსტად ჩაღარული. კვირტი მცირე ზომისაა, ტოტზე მიტმასნილი. ჯიში ადრეული ვეგეტაციისაა, მოითხოვს მყნობის ადრეულ ვადებს, გამორჩეულია ფოთლის მოსავლიანობით, ყუათიანობითა და ფოთლის სიხუჭუჭისადმი გამძლეობით. რეკომენდირებულია დასავლეთ საქართველოს ფოთლის სიხუჭუჭის ზონაში გასავრცელებლად.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: 224 **რეგისტრაციის თარიღი:** 2017 08 10

განაცხადის დასახელება: თუთის ჯიში „თვალთაი”

გვარი და სახეობა: *თუთა Morus alba Lin*

სელექციონერ(ებ)ი:

ემზარ ჭოლაძე, ნაზი თვალჭრელიძე,
ლიანა ნაცვლიშვილი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე აღწერილობა:

ჯიში „თვალთაი" გამოყვანილია ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში თუთის ჰიბრიდულ პოპულაციაში მრავალჯერადი მკაცრი გამორჩევით. მცენარე მდედრობითია, პირამიდული ფორმის ვარჯით, ინტენსიური შეფოთვლით. ფოთოლი მთლიანფირფიტიანია, მოგრძო ყუნწით, მარცვლოვანი ზედაპირით, ნაზი, საშუალო სისქის, მუქი მწვანე შეფერვის.
კვირტი ზომიერია, კარგად ინახება მყნობამდე. ყვავილობა უხვია, ნაყოფები შავი ფერის, წვნიანი, ტკბილი გემოთი, ნაყოფებიდან თესლის გამოსავალი კარგი. ნაყოფები მწიფდება ერთდროულად. ჯიში ადვილად მრავლდება ვეგეტატიური გზით (მყნობით), შედარებით გამძლეა ქარებისადმი, ფოთლის სიხუჭუჭისადმი. რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოში გასავრცელებლად ჰიბრიდულ მეთესლეობაში გამოყენების მიზნით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2018 225 B **რეგისტრაციის თარიღი:** 2018 06 12

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2018 07 04

ჯიშის დასახელება: ლასთ ქოლ

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *მოცვი / Vaccinium corymbosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ. (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

დევიდ მ. ბრაზელტონი (US)
ადამ ლ. ვაგნერი (US)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

შემოთავაზებულია მოცვის მცენარის ახალი ჯიში „ლასთ ქოლ“. „ლასთ ქოლ“ წარმოადგენს კომერციულ სახეობას, რომელიც განკუთვნილია, როგორც ახალი პროდუქტების, ასევე გადამუშავებული საკვების ბაზრისათვის. ეს სახეობა იძლევა დიდი ზომის ღია ცისფერ კენკრას განსაკუთრებული არომატით და სიმყარით. „ლასთ ქოლ“-ის ნაყოფი მწიფდება იმავე დროს, რა დროსაც კომერციული ჯიში „ელიოტი“ და „ავრორა“ მწიფდება, თუმცა უფრო ტკბილი არომატი გააჩნია, რასაც, უპირატესობა ენიჭებოდა დახურულ დეგუსტაციებში. სახეობას აქვს მძლავრი ბუჩქი, რომელსაც უფრო მაღალი მოსავლიანობა გააჩნდა, ვიდრე „ავრორა“-ს 2011-2012 წლებში ორეგონში (2010 წელს მოსავლიანობაზე ჩატარდა დაკვირვება თუმცა არ იქნა გაზომილი). „ლასთ ქოლ“-ის ნაყოფს უკეთესი სიმყარე ჰქონდა, ვიდრე „ელიოტ“-ს შენახვამდე და შენახვის შემდეგ (გაზომილი ფირმტექ 2-ის ნაყოფის სიმყარის ტესტერით). „ლასთ ქოლ“ წარმოადგენს მძლავრ მცენარეს ვერტიკალური ზრდის ფორმით, და დადგენილი გაცივების მოთხოვნით, რომელიც შეადგენს 1000 საათს ჯიშის მიხედვით.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2018 226 B **რეგისტრაციის თარიღი:** 2018 06 12

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2018 07 04

ჯიშის დასახელება: ქლოქვორქი

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *მოცვი / Vaccinium corymbosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ. (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

დევიდ მ. ბრაზელტონი (US)
ადამ ლ. ვაგნერი (US)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

შემოთავაზებულია მოცვის მცენარის ახალი სახეობა „ქლოქვორქი“. „ქლოქვორქი“ წარმოადგენს კომერციულ სახეობას ბრწყინვალე მანქანური მოსავლის აღების მახასიათებლებით და განკუთვნილია გადამუშავებული საკვების ბაზრისათვის. სახეობას აქვს კონცენტრირებული საშუასეზონო მომწიფების ვადა და პოტენციურად სეზონში ერთი მოსავლის აღების შესაძლებლობა. „ქლოქვორქი“ კარგად უძლებს გატინვის ცდებს შესანიშნავი არომატით და აგებულებით. მცენარე გამოირჩევა სიმძლავრით, ვერტიკალური ზრდის ფორმით და დადგენილი გაგრილების მოთხოვნით 800 -1000 საათის განმავლობაში.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2018 227 B

რეგისტრაციის თარიღი: 2018 06 19

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2018 07 04

ჯიშის დასახელება: დიამონდ ჯუბილეე

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *ჟოლო / Rubus idaeus L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ (GB)


პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ (GB)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული ორმოსავლიანი წითელი ჟოლოს კულტურული მცენარის ჯიშს სახელწოდებით „დიამონდ ჯუბილეე“ გააჩნია დიდი ზომის, ღია ფერის, ტკბილი და გამორჩეულად მაგარი ნაყოფები. მაღალი მოსავლით ხასიათდება, გააჩნია მომხმარებლის პრეტენზიის მიმართ დადებითი მახასიათებლები. ეს კულტურული ჯიში გამოირჩევა ტოტების სიმძლავრით, დიდი ზომის ფოთლებით, დაბალი მჟავიანობით, სიტკბოთი და სიმაგრით და ნაყოფის ფორმით, კერძოდ, ფართო კონუსური ფორმით. ჟოლოს ახალი ჯიში „დიამონდ ჯუბილეე“ გამოირჩევა, აგრეთვე, იმით, რომ იძლევა კომერციულად მნიშვნელოვანი რაოდენობის დიდ, მაგარ და სურნელოვან ნაყოფს, რომლის მოკრეფის შემდგომი შენახვის ვადა ხანგრძლივია გამოზამთრებული ყუნწების და გვიანი ზაფხულის ყლორტების მხრივ.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2018 228 B **რეგისტრაციის თარიღი:** 2018 11 13

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2018 11 20

ჯიშის დასახელება: საფირი

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *ჟოლო / Rubus idaeus L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ (GB)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ (GB)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

ჯიში, სახელად „საფირი“ არის ახალი და განსხვავებული ფლორიკანი მსხმოიარე წითელი ჟოლოს ჯიშისა, რომელიც ხასიათდება დიდი ზომის, მიმზიდველი, არომატული და მდგრადი ნაყოფით და რომელსაც განსაკუთრებული სამომხმარებლო მახასიათებლები გააჩნია.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2019 229 B

რეგისტრაციის თარიღი: 2019 02 21

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2019 02 22

ჯიშის დასახელება: ZF08-070

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *მოცვი / Vaccinium corymbosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ. (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ადამ ლ. ვაგნერი (US)
დევიდ მ. ბრაზელტონი (US)
პეტერ სტეფან ბოხესი (US)
ანტონიო ა. ალამო ბერმუდო (ES)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

მოცვის ახალი კომერციული ჯიში „ZF08-070“ არის მრავალმხრივი დანიშნულების და იგი განკუთვნილია ნედლი და გადამუშავებული ხილის ბაზრებისათვის. იგი გამოვლინდა ჯიშების „ლეგასი“-ს (მდედრი მშობელი) და „დრეიფერი“ (მამრი მშობელი, აშშ-ს მცენარის პატენტი №15,103) შეჯვარებით. მოცვის ახალ ჯიშს აქვს შესანიშნავი სიმძლავრე, ვერტიკალური ზრდის ფორმა, ნაყოფს იძლევა შუა სეზონზე და ისხამს დიდი ზომის კენკრას ერთგვაროვანი ფორმით და ღია ცისფერი შეფერილობით. „ZF08-070“ შერჩეულ იქნა მისი ვერტიკალური ზრდის ფორმის, სტაბილური კენკრის ზომის, ყინვაგამძლეობისა და სიმძლავრის გამო.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2020 230 B

რეგისტრაციის თარიღი: 2020 09 04

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2020 09 15

ჯიშის დასახელება: კალიპსო

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *მოცვი / Vaccinium corymbosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ბორდ ოფ თრასთის ოფ მიჩიგან სტეიტ იუნივერსითი (US)


პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ჯეიმს, ფ. ჰენკოკი (US)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

„კალიპსო“ არის მოცვის ახალი ჯიში, ძირითადად, Vaccinium corymbosum L., დანარჩენი პროცენტული ნაწილი არის V. Darrowii (13.3%), V. angustifolium (3.8%), V. tenellum (<1%) და V. ashei (<1%). ის არის მაღალპროდუქტიული ჯიში საუკეთესო ხარისხის ახალი ნაყოფით. „კალიპსო“-ს მცენარეები მძლავრია და ზეაღმართულია. მას აქვს მრა-ვალრიცხოვანი და ზომიერად დატოტილი ღეროები და ნაყოფი კარგად ჩანს. მისი კენკრა არის დიდი ზომის, აქვს მცირე, მშრალი ნაწიბურები, საშუალო ღია ცისფერი ფერი და საუკეთესო სიმყარე და სურნელი. ზოგადად, „კალიპსო“-ს ნაყოფი ძალზე კარგად დაკავდა ბუჩქზე დამწიფების შემდეგ, გარდა უჩვეულოდ ცხელი ზაფხულისა 2012 წელს მიჩიგანსა და ორეგონში. იმ წელს ნაყოფი ნორმალურთან შედარებით უფრო რბილი იყო და სიცხის პირობებში „ლიბერთი“-ს მსგავს თვისებებს ამჟღავნებდა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2020 231 B

რეგისტრაციის თარიღი: 2020 09 04

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2020 09 15

ჯიშის დასახელება: ოსორნო

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *მოცვი / Vaccinium corymbosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ბორდ ოფ თრასთის ოფ მიჩიგან სტეიტ იუნივერსითი (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ჯეიმს, ფ. ჰენკოკი (US)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

„ოსორნო“ არის მოცვის ახალი ჯიში, ძირითადად, Vaccinium corymbosum L., დანარჩენი პროცენტული ნაწილი არის V. Darrowii (13.3%), V. angustifolium (3.8%), V. tenellum (<1%) და V. ashei (<1%). ის არის მაღალპროდუქტიული ჯიში საუკეთესო ხარისხის ახალი ნაყოფით, რომელიც, სავარაუდოდ, საუკეთესოდ ადაპტირდება ჩრდილოეთის მაღალბუჩქოვანი წარმოების არეალებთან, სადაც არ იცის მკაცრი ზამთარი, როგორიცაა ჩილეში და წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში, თუმცა რეკომენდებულია, რომ დამატებითი ცდები ჩატარდეს უფრო ცივ რეგიონებში, როგორიცაა მიჩიგანი. „ოსორნო“-ს მცენარეები მძლავრია და ზეაღმართულია, თუმცა ღეროები შეიძლება სუსტი იყოს ნაყოფით დატვირთვისას. ტოტები მრავალრიცხოვანია, ზომიერად განტოტილი, ხოლო ნაყოფი კარგად ჩანს. მისი კენკრა არის დიდი ზომის, აქვს მცირე, მშრალი ნაწიბურები, ღია ცისფერი ფერი და საუკეთესო სიმყარე და სურნელი. მისი ნაყოფი ძალზე კარგად დაკავდა უჩვეულოდ ცხელ ზაფხულში 2012 წელს, როდესაც ტემპერატურა რუტინულად 30°C-ს აღემატებოდა.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2020 232 B

რეგისტრაციის თარიღი: 2020 12 17

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2020 12 22

ჯიშის დასახელება: ალუეტე

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *კარტოფილი / Solanum tuberosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ქვიიკ- ენ რისერჩბედრიხფ აგრიკო ბ. ვ. (NL)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ქვიიკ- ენ რისერჩბედრიხფ აგრიკო ბ. ვ. (NL)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული კარტოფილის ჯიში „ალუეტე“, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Solanum tuberosum L., არის სუფრის ჯიში ექსპორტისა და ადგილობრივი მოხმარებისათვის. მისი ვეგეტაციის პერიოდია საშუალო სიმწიფიდან საგვიანომდე. ალუეტეს ბოლქვი ოვალურია, ტუბერი წითელი ფერისაა, საშუალო ყვითელი ფერის გულით. ალუეტე უხვმოსავლიანი ჯიშია. მას საკმაოდ კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია ისეთი დაავადებების მიმართ, როგორიცაა კარტოფილის კიბო, ნემატოდა და ფიტოფტოროზი. ჯიში არის BC კულინარული ტიპის. მისი სამომხმარებლო ხარისხი საკმაოდ მაღალია, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია

რეგისტრაციის ნომერი: P 2020 233 B

რეგისტრაციის თარიღი: 2020 12 17

მეორე გამოქვეყნების თარიღი: 2020 12 22

ჯიშის დასახელება: რანომი

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად: *კარტოფილი / Solanum tuberosum L.*

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ქვიიკ- ენ რისერჩბედრიხფ აგრიკო ბ. ვ. (NL)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ქვიიკ- ენ რისერჩბედრიხფ აგრიკო ბ. ვ. (NL)

ჯიშის მოკლე დახასიათება:

ახალი და განსხვავებული კარტოფილის ჯიში „რანომი“, ბოტანიკურად ცნობილი, როგორც Solanum tuberosum L., არის სუფრის ჯიში ექსპორტისა და ადგილობრივი მოხმარებისათვის. მისი ვეგეტაციის პერიოდია სუპერ საადრეოდან საადრეომდე. რანომის ბოლქვი გრძელ-ოვალური და ზედაპირულია, ტუბერი ყვითელი ფერისაა, სუსტი შეფერილობის გულით. რანომი უხვმოსავლიანი ჯიშია. მას საკმაოდ კარგი წინააღმდეგობის უნარი გააჩნია ისეთი დაავადებების მიმართ, როგორიცაა კარტოფილის კიბო და ნემატოდა, მაგრამ საშუალოდ რეზისტენტულია ფიტოფტოროზისადმი. ჯიში არის AB კულინარული ტიპის. მისი სამომხმარებლო ხარისხი საკმაოდ მაღალია, აქვს კარგი გემური თვისება და მყარი კონსისტენცია.

გამოსახულება:



სტატუსი: რეგისტრაცია ძალაშია